გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№34 (1060) 27 - 29 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო და ახლა ჩვენ გულსაც ვეღარ დაიბრუნებთ“

გვ. 8

რა პრეტენზიები აქვთ ფერეიდნელ ქართველებს ოფიციალურ თბილისთან

ირაკლი ღარიბაშვილი: „სიცრუის კამპანიას სიმართლე უნდა დავუპირისპირეთ“

გვ. 3

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია 3-თვიანი პაუზის შემდეგ

„საქართველოს რკინიგზა“ რუსულ კომპანიას ლობირებს?

გვ. 5

ქართულ-ჩინური კომპანიის დირექტორი ტენდერში გამოკვეთილ დარღვევებს ასაჯაროებს

C ჰეპატიტით დაავადებულთა ხარჯზე ნაშოვნი მილიარდები

კომპანია „გილეადის“ კაბალური ხელშეკრულება — მითები და რეალობა

გვ. 7

კაიბიჭებში შეპარული „კრისა“ და 100 ათასად შეფასებული ოქროს საათი

გვ. 6

როგორ გაშიფრა „პადელენიკმა“ ძმაკაცი ნათლიის ბინის ძარცვისას

მეცნიერების შექმნილი სამოთხე ნახევარ წელში ჯოჯოხეთად იქცა

სკანდალური ექსპერიმენტის შოკისმომგვრელი დასკვნა

თავისუფალმა და აგრარულმა უნივერსიტეტებმა თიბისი ბანკი საუკეთესო დამსაქმებლად დაასახელეს

გვ. 7

თიბისი ბანკი TBC BANK

„მალე „ოცნებისთვისაც“ დადგება 1 ოქტომბერი“

გვ. 4

შეიქმნება თუ არა პარლამენტში „მეოცნებეების“ ახალი ფრაქცია და რატომ იყიდა იარალი მურმან დუმბაძემ

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლევან ხოზრევანიძე. გამოძიებამ დაადგინა, რომ ლევან ხოზრევანიძე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეს ასპინძის მუნიციპალიტეტში, წუნდის ტბასთან მდებარე 32 635 კვ.მ მიწის ნაკვეთის 49 წლიანი იჯარით გადაცემაში დახმარებას დაპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა 50 000 აშშ დოლარი და წინასწარ აიღო 21 000 აშშ დოლარი. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

სოფელ ქვეშიდან გატაცებული ჯემალ ცაციაშვილის საქმეზე საგამოძიებო პროცესი სავარაუდოდ, 3 თვეს გაგრძელდება

ოჯახის წევრებმა ცაციაშვილის შესახებ ამ დრომდე არაფერი იციან. ის უკვე თვეზე მეტია, ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. ოსური მხარის განმარტებით, ამ ეტაპზე მის საქმეზე საგამოძიებო პროცესები მიმდინარეობს, თუმცა გათავისუფლების გაჭიანურების მიზეზები კვლავაც არ ხმაურდება. ცაციაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, სოფელ ქვეშში ადგილობრივებმა რამდენიმე დღის წინ საპროტესტო აქციაც გამართეს, თუმცა დაკავებულის დედა თამარ მაზმიშვილი აცხადებს, რომ ერთი თვის განმავლობაში არავინ დაკავშირებიათ. ოჯახი თანახმაა, სასამართლო პროცესი სწრაფად ჩატარდეს და ჯარიმა გადაიხადოს. საქართველოს შსს-ს მონაცემებით, ცხინვალის ციხეში საქართველოს შვიდი მოქალაქე რჩება.

„პირველი“

საქართველოს პრეზიდენტი აპრილში რომის პაპს შეხვდება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ვატიკანის ნუნციუსს საქართველოში მარეკ სოლჩინსკის შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს პრეზიდენტის ვატიკანში დაგეგმილი ვიზიტის დეტალები განიხილეს.

გიორგი მარგველაშვილი ვატიკანს აპრილში ეწვევა, ქვეყნის პირველი პირი რომის პაპთან გამართავს შეხვედრას.

„პირველი“

შსს-მ ბრიუსელის ინტერპოლის მიერ ყაჩაღობის ორგანიზებისა და ყაჩაღობისთვის საერთაშორისო დონეზე ძებნილი პირი დააკავა



შსს-ს თბილისის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას, ბრიუსელის ინტერპოლის მიერ 18.11.2014 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 15.01.1977 წ. დაბადებული მუზაფერ უსტაბაში დააკავეს.

მუზაფერ უსტაბაშს ბრალად ედება ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე, 322-ე, 323-ე, 461-ე, 468-ე, 471-ე, 472-ე და 484-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც ყაჩაღობის ორგანიზებას ან ყაჩაღობას გულისხმობს. 2011 წელს ქალაქ ანდერლეხტში მდებარე ბულგარული სატრანსპორტო კომპანია „ექსპრესტრანსის“ მძღოლმა გააკეთა განცხადება მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. პოლიციელებად გადაცმული 5 შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა კომპანიაში, გაანეიტრალეს — Turkish Way-ში მყოფი 5 დისპეტჩერი, აიყვანეს ისინი მძევლებად და მუქარით წაართვეს კონვერტი, რომელშიც სავარაუდოდ იყო 56-დან 87 700 ევრომდე თანხა. აგრეთვე, იქ მყოფ პირებს წაართვეს მობილური ტელეფონები და პირადი ნივთები. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაული, სავარაუდოდ, მომზადებული იყო ვინმე „ტოტის“ მიერ. შემდგომი ღონისძიებების შედეგად, „ტოტი“ იდენტიფიცირებული იქნა როგორც მუზაფერ უსტაბაში.

ამჟამად, მუზაფერ უსტაბაში დაკავებული და გადაყვანილია აჭარა-გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

„ვერსიანიუსი“

ხუდონჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები შესაძლოა, წელსვე დაიწყოს

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, კონკრეტულად საუბარი გაუჭირდება, დაიწყება თუ არა ხუდონჰესის მშენებლობა წელს.

თუმცა როგორც კალაძემ აღნიშნა, გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები შეიძლება დაიწყოს, როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

მინისტრის ინფორმაციით, გარემოზე ზემოქმედების დასკვნას გარკვეული დრო სჭირდება, რადგან პროექტი მასშტაბურია: „ძალიან მსხვილი, დიდი პროექტია და დრო სჭირდება იმას, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება მომზადდეს. პროცესი ძალიან გამჭვირვალე იქნება. შეხვედრები სხვადასხვა ექსპერტებთან გაიმართება. ასევე იქნება მსჯელობა თვითონ გარემოს დაცვის სამინისტროში, მოსახლეობასთან. გამიჭირდება საუბარი, დაიწყება თუ არა მშენებლობა წელს, თუმცა, როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს დავიწყებთ“.

„პირველი“

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროსთან ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა გაფორმდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში 2015 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა გაფორმდა. პოლონეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშეს, პოლკოვნიკ დარიუშ პოგორჟელსკისა და მის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკ მაჩეი მაზურჩაკს საქართველოს თავდაცვის უწყებაში უმასპინძლეს. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, საუბარი ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს შეეხო. თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო განათლების და სამხედრო პოლიციის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციების გამართვას.

„პირველი“

დიდი რაოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტს საგამოძიებო სამსახური შეისწავლის

საბაჟო გამშვები პუნქტ „სარფის“ მებაჟე ოფიცრებმა დიდი რაოდენობით ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობა გამოავლინეს.

თურქეთის მხრიდან სამგზავრო ავტობუსით შემოსული სომხეთის მოქალაქე ჰ.რ.-ის მიმართ ეჭვის საფუძველზე ავტობუსის დათვალიერების შედეგად, მათ აღმოაჩინეს აღნიშნული პირის კუთვნილი არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ: ოქროს ნაკეთობები — საერთო წონით 546,95 გრამი, ვერცხლის ნაკეთობები — საერთო წონით 1485,22 გრამი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 28976,57 ლარი, ასევე, ხელოვნური თვლები. მგზავრს საქონელი დამალული ჰქონდა ავტობუსში სპეციალურად მოწყობილ სამალავებში. საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს.

ასევე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანა სცადა 25 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი“ აზერბაიჯანის მოქალაქე ტ.მ.-მ. დათვალიერების შედეგად შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მას 4738,43 ლარის ღირებულების 4 ცალი ოქროს ყელსაბამი აღმოუჩინეს.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, პირს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 4738,43 ლარის ოდენობით.

„პირველი“

შსს-მ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 116 კგ ჰეროინი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა



შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, 2013 წლის ივლისში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ახალციხის ტერიტორიაზე, ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით შემოსული სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული 116 კგ ჰეროინი, ასევე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას ამოღებული 360 აბი „სუბუტექსი“, 4,57 გრ მეტადონი, 322 გრ ჰეროინი, 0,282 გრ კოკაინი, 19 კგ 500 გრ მარიხუანა და 15 კგ კანაფი ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურა.

შს სამინისტრო 3 თვეში ერთხელ ანადგურებს ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, რომლებზეც სასამართლოს შესაბამისი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, ნარკოტიკების განადგურების პროცესს მთავარი პროკურატურის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „სიცრუის კამპანიას სიმართლე უნდა დავუპირისპიროთ“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

პრემიერ-მინისტრის მორიგი, 3-საათიანი პრესკონფერენცია სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში 26 მარტს გაიმართა. მთავრობის მეთაურთან მასმედიის შეხვედრამ პრესის კითხვების გარეშე ჩაიარა — შეხვედრის ორგანიზატორებმა, ბეჭდვური მედიისთვის, სამწუხაროდ, დრო ვერ გამონახეს, იმის მიუხედავად, რომ თავად პრემიერმა რამდენჯერმე მოითხოვა, გაზეთების წარმომადგენელთათვის კითხვების დასმის საშუალება მიეცათ. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა და იმედია, ეს ტრადიციად არ დამკვიდრდება, რადგან პრესის წარმომადგენლები ერთი კითხვის დასასმელად კოლეგებს „მიკროფონების“ ომს ნამდვილად ვერ გამოვუცხადებთ. რაც შეეხება პრესკონფერენციის მთავარ კითხვა-პასუხებს, „ვერსია“ მათ ოდნავი შემოკლებით გთავაზობთ. მანამდე კი, ღარიბაშვილმა მედიასაშუალებებს უსაყვედურა, საზოგადოებამდე ჩვენს მიერ გაკეთებული კარგი საქმეები არ მიგაქვთო და ნახევარსაათიანი ანგარიში ჩაგვაბარა: მისი თქმით, 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, 2007 წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი იყო. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4,7%-ს მიაღწია. იგი ლარის კურსის ვარდნასაც შეეხო და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ეროვნული ვალუტის კი არა, რეგიონში ყველა ქვეყნის პრობლემაა. მაგალითად აზერბაიჯანი, თურქეთი, მოლდოვა და სხვა ქვეყნები მოიყვანა. პრემიერი „ქამრების შემოჭერის“ თემასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მთავრობა ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვას ცდილობს და არც ერთ ინფრაქსტრუქტურულ თუ სოციალურ პროექტს არ ეხება. მისი განმარტებით, ტურიზმის შემოსავალმა 2003-2011 წლებში სულ 3, 2 მილიარდი შეადგინა, ხოლო მხოლოდ 2013-2014 წლებში საქართველოში 3,1 მილიარდია შემოსული, რაც მან საკუთარი გუნდის გამარჯვებად მიიჩნია.

— საზოგადოებრივი მაუწყებელი: ლარის კურსის ვარდნის ფონზე, რას პასუხობთ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც აღებული სესხის უკვე გაზრდილ პროცენტს იხდის, არსებული მდგომარეობის გამო ხომ არ აპირებთ მთავრობის შემადგენლობის გადახედვას?

— ჩვენი ეროვნული ვალუტა გამონაკლისი არ არის. არც ჩვენი ეკონომიკაა დღეს ისეთი ძლიერი, ამ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ეს მთავრობის არასწორი პოლიტიკით არაა გამოწვეული. ვალუტის ნიშნულის შესანარჩუნებლად ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ამის რესურსი ფიზიკურად არ გაგვაჩნია. ახლაც არ მაქვს კონკრეტული რეცეპტი, ამ ვითარებიდან დღეს ან ხვალ როგორ უნდა გამოვიდეთ, ამას რამდენიმე თვე დასჭირდება. რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, ამ თემაზე მედიაში საოცარი სპეკულაციები მიდის. მესმის, სენსაციური ინფორმაცია უფრო გაინტერესებთ, მაგრამ ამ სენსაციას უახლოეს მომავალში არ გპირდებით. გულწრფელად გეტყვით, ყველა მინისტრის მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. პირველ რიგში, საკუთარ თავს ვთხოვ უფრო მეტს და მინისტრებსაც მოვუწოდებ, საკუთარ თავზე მეტი ინიციატივა აიღონ. თუმცა ამ ეტაპზე, მთავრობაში არანაირი ცვლილებები არ იგეგმება.

— „იმედი“: სწორედ ლარის კურსი და სხვა პრობლემები გახდა იმის წინაპირობა, რომ lcl-ის კვლევებში, კოალიციის, პარტია „ოცნებისა“ და პირადად თქვენი რეიტინგი შემცირებულია. რას უკავშირებთ ამ ტენდენციას, იმის მიუხედავად, რომ ამ გამოკითხვებს არ ენდობით?

— რეიტინგები არასოდეს იყო ჩემი მთავარი საზრუნავი. ვინც რეიტინგებზე ფიქრობს და ოცნებობს, საქმეს არ აკეთებს. თუ ჩემს მინისტრებს მაღალი რეიტინგი ექნებათ, ეს ძალიან კარგია. ღიადაც ვთქვი, რომ მეც და საზოგადოებასაც გვაქვს კითხვები, ვინ ასრულებს ამ სამუშაოებს, ადგილზე ვინ ითვლის ამ რეიტინგებს. თუმცა ეს მაინც უსაქმურების საქმეა და მოვუწოდებ უსაქმურებს, დაკავდნენ რეიტინგების შესწავლით.

— „რუსთავი 2“: ყველასთვის ცნობილია ქვეყნის საგარეო კურსი, მაგრამ ბოლო პერიოდში, კოალიციის წევრებისგან ანტიდასავლური განცხადებები გახშირდა. ემიჯნებით თუ არა გოგი თოფაძის რიტორიკას და 2016 წელს, მოიაზრებთ თუ არა „მრეწველებს“ კოალიციაში?

— „მრეწველებმა“, სხვა პარტიების მსგავსად, ხელი მოაწერეს კოალიციის სადამფუძნებლო დოკუმენტს და ოფიციალურად, ჩვენს მიერ გაცხადებულ საგარეო კურსს ყველა სრულად იზიარებს. რაც შეეხება გოგი თოფაძის განცხადებებს, რა თქმა უნდა, მათ არ ვიზიარებ. ეს მისი პირადი აზრია და არა კოალიციისა. ზოგადად, ვფიქრობ, მისი კომენტარი ზედმეტადაა აჟიტირებული. ეს განცხადება ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ ამაში ტრაგიკული არაფერია. ეს გოგი თოფაძის, როგორც მოქალაქის პირადი შეხედულებაა. რაც შეეხება კითხვას, მოვიაზრებ თუ არა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მრეწველებს“ ჩვენს გვერდით, ვნახოთ, არჩევნებამდე დიდი დროა.

— „მაესტრო“: საჰაერო უსაფრთხოების ხელშეკრულების თემაზე, ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ვიზიტისას, მას მინდია ჯანელიძემ დაურეკა და უთხრა, ამ შეთანხმებისთვის ხელი არ მოეწერა. უნდა მოგვეწერა თუ არა ხელი და ზოგადად, რა პერსპექტივა აქვს ამ შეთანხმებას?

— ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებდი. ვფიქრობ, ბატონმა მინდიამ კითხვებს უკვე უპასუხა. ზოგადად, მიმაჩნია, რომ მსგავსი საკითხის პოლიტიზება და ამ თემებით სპეკულირება უზნეობაა. არ მინდა, ამას სერიოზულად ვუპასუხო. ასეთი, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, საიდუმლო საქმეებით სპეკულირება ვაჟკაცების საქმე არ არის.

— „კავკასია“: რატომ არ ესწრება მთავრობა პრეზიდენტის საპარლამენტო ანგარიშს და ნიშნავს თუ არა ეს დაძაბულობას სახელისფულო შტოებს შორის?

— პრეზიდენტ მარგველაშვილთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. უბრალოდ, ცდილობენ, სურათი ისე დახატონ, თითქოს, ჩვენს შორის პირადი კონფლიქტია, რაც ტყუილია. მესმის, ერთ დროს პრეზიდენტი მთავარი მოსამართლეც იყო, პროკურორიც, პოლიციელიც, ახლა კი ასე აღარაა და ამას უნდა შევეგუოთ. გასულ წელს ვიმსჯელეთ, უნდა დაესწროს თუ არა პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობა და მაშინ ვთქვი, რომ რაკი პომპეზურობას ვერიდებით, ეს საჭირო არ იყო. ამის დრამატიზება ახლაც არასწორია. მოსახლეობას არ აინტერესებს, წავალ თუ არა პარლამენტში ან დაესწრება თუ არა გამოსვლას მინისტრი გიორგაძე. ჩვენ მას მოვუსმენთ, მეც ვუყურებ მის გამოსვლას ტელევიზიით, მაგრამ აუცილებელი არაა, პარლამენტის შენობაში ვიყო.

— „ობიექტივი“: ნაციონალურმა მოძრაობამ 21 მარტის აქციაზე ფულით შეაგროვა მაქსიმუმ 10 000 ადამიანი და შემდეგ ვნახეთ კვლევა, სადაც მათი რეიტინგი 14%-ია. მაინტერესებს, გოჩა ცქიტიშვილი, რომელიც წლებია ამ კვლევებს აყალბებს, არის თუ არა დამნაშავე და თუ ეს ასეა, უნდა გამოიძიოს თუ არა პროკურატურამ მისი საქმიანობა?

— მთავრობამ და მოსახლეობამ სიცრუის კამპანიას სიმართლე უნდა დაუპირისპიროს. ნაციონალების პოლიტიკა ტყუილით, აგრესიით, ძალადობით, სადიზმითა და სისასტიკითაა გაჯერებული. სასაცილოა, რომ გამართეს აქცია და მოითხოვეს საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობის გადადგომა. ეს იმის დემონსტრირებაა, რომ ეს ხალხი რაღაც გაუგებარ სექტადაა ჩამოყალიბებული, რომლის ამოცანა დესტრუქციის შემოტანაა. მით უმეტეს, ამისთვის ყველაზე მძლავრი მედიასაშუალება აქვთ და ჰყავთ დესტრუქციული ძალები, რომლებიც კანონს გარეთ არეულობის შემოტანას ცდილობენ მოსახლეობაში. არავის ვურჩევ რაღაცის ამ ფორმით დაგეგმვას, რადგან სახელმწიფო ძალიან დაუნდობელი იქნება, კანონის ფარგლებში. თუმცა აქციის ჩატარება მათი უფლებაა. მათ ეს გააკეთეს ძალითა და ფულით მოგროვილი ხალხით, მაგრამ ამ ხალხმაც უნდა გაიგოს, რომ ნაციონალებს პროგრესის შეფერხების არავითარი შანსი არ აქვთ! აქციის შემდეგ ამ პარტიის ლიდერები განწილებულები და იმედგაცრუებულები იყვნენ. ვიცი, იმ საღამოს მათი პარტია დაშლის პირას იყო. რეალურად, მათ შეახსენეს მოსახლეობას, თუ როგორ ძალადობდნენ ხალხზე ორი წლის წინ. რაც შეეხება ცქიტიშვილს, მის საქმიანობას არ ვიცნობ და თუ არ მოგწონთ გოჩა ცქიტიშვილი, უნდა იყოს სხვა გოჩა ცქიტიშვილი. სხვამ უნდა დააფუძნოს უფრო ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც სამართლიან და გამჭვირვალე გამოკითხვებს ჩაატარებს, რადგან მოსახლეობა სიცრუით დაიღალა. თუ ცქიტიშვილთან დაკავშირებით კითხვები არსებობს, პროკურატურას უნდა მიმართოთ — ეს ჩემი საქმე არაა.

— „TV 8“: სად არის დაპირებული 100 საწარმო, რომელსაც ხალხი ეძებს და ვერსად პოულობს?

— 100 კი არა — 105! და არა 100. დაუკავშირდით სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის სამინისტროს, ან ორივეს ერთად და მოვაწყოთ ერთობლივი მედიატური. შეიქმნა 105 და გადაიარაღდა 580 საწარმო. მე, პირადად, რამდენიმე საწარმო გავხსენი გასულ წელს და ახლა მე მეკითხებით, სადაა ეს საწარმოები? როგორ გგონიათ, გავბედავ და მოვიტყუები, რომ 105 საწარმო დავაფინანსეთ? ამ სიცრუის კამპანიას ბოლო ძალიან მალე მოეღება. გთავაზობთ, მოაწყვეთ მედიატური და ტყუილში გამომიჭირეთ!

— „როიტერი“: რა კონკრეტული სარგებელი მივიღეთ რუსეთთან პოლიტიკის შერბილებით და ხომ არ იგეგმება ჩვენი საგარეო პოლიტიკის გადახედვა, რათა ჩვენი ხმა უნისონში იყოს დასავლეთთან?

— სააკაშვილი რუსეთთან აბსოლუტურად გაუაზრებელ პოლიტიკას აწარმოებდა და მათი წინდაუხედაობის გამო თავიდან ვერც აგვისტოს ომი ავიცილეთ. ჩემი აზრით კი, კონსტრუქციული და პრაგმატული მიდგომებით ამის გაკეთება შეიძლებოდა. ამ ახალი მიდგომით, დღეს კონფლიქტი დეესკალირებულია, გაიხსნა რუსეთის ბაზარი ჩვენი ფერმერებისთვის, გლეხებისთვის, რაზეც სააკაშვილი ვერც იოცნებებდა. ექსპორტი 468 %-ით გაიზარდა, მხოლოდ ბორჯომს 400%-ანი მოგება ჰქონდა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით. სულ რაღაც 1 წელიწადში ღვინის რამდენიმე ახალი ქარხანა აშენდა. ეს სარგებელი ჩვენი მოსახლეობის ჯიბეზე პირდაპირ აისახა. ჩვენმა გონიერმა მიდგომებმა მარტო საქართველოში კი არა, რეგიონშიც დაასტაბილურა უსაფრთხოების საკითხი. არ მაინტერესებს სააკაშვილის, აკო მინაშვილისა და ბოცო წიკლაურის აზრი ჩვენს პოლიტიკაზე. მე ვუსმენ ამერიკის, საფრანგეთის პრეზიდენტებს, გერმანიის კანცლერს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს და ვიცი, რომ ჩვენი კონსტრუქციული მიდგომა მოსწონთ. სამწუხაროდ, რუსეთმა ჩვენს ჯანსაღ მიდგომებს იგივე სულისკვეთებით არ უპასუხა.

— „თრიალეთი“: შიდა ქართლის მოსახლეობა გუბერნატორის მუშაობით უკმაყოფილოა. იგი კაბინეტიდან მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა თავის ფეშენებელურ სახლს აშენებს ატენის ხეობაში, ასევე, მას აქვს ბიზნესინტერესები მშენებარე სასტუმროში. ვინ აკონტროლებს მას?

— ძალიან სასაცილოა! ე.ი. გუბერნატორი ზის და იმდენად უპასუხისმგებლოა, აშენებს სახლს, კაბინეტიდან გაუსვლელად, ბიზნესები და სასტუმროები აქვს. ჟურნალისტი კი ხართ, მაგრამ ყველაფრის უფლება არ გაქვთ. ადამიანს ცილი არ უნდა დასწამოთ, უსაფუძვლო ბრალი არ უნდა წაუყენოთ. მოვუწოდებ გუბერნატორს, გააკეთოს განმარტება — უარყოს ან დაადასტუროს ფაქტები. საკუთარ თავსა და ოჯახზე უარესი ბრალდებებიც მომისმენია. ხშირად მიფიქრია, უნდა გავცე თუ არა პასუხი ისეთ აბსურდულ ბრალდებებს, როგორიცაა, ვთქვათ ის, რომ ბატუტებს ვყიდულობ და ოთახიდან ოთახებში დავფრინავ. ეს არის შეურაცხყოფა და უპატივცემულობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ვისურვებდი, გუბერნატორმა სასამართლოში გიჩივლოთ და ბოდიში მოგახდევინოთ. შემპირდით, რომ თუ დასახელებული ფაქტებიდან არც ერთი არ დადასტურდება, საჯაროდ მოიხდით ბოდიშს, ხოლო თუ დადასტურდება, ამ ფაქტზე რეაგირებას პირადად მოვახდენ.

— „ინფო 9“: უკრაინაში თქვენი ვიზიტი ჯერ კიდევ იანვარში დაანონსდა, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროს თქმით, ვიზიტი ჯერ კიდევ მზადდება. როდის გეგმავთ უკრაინაში ჩასვლას და ვიზიტს იქ ნაციონალების მაღალ თანამდებობებზე მუშაობა ხომ არ აფერხებს?

— უკრაინა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა და მისი ბედი ძალიან მაშფოთებს. უბრალოდ, ამ ეტაპზე საშინაო საქმეებით ვარ დაკავებული და ვცდილობ, მაქსიმალურად თავი ავარიდო გარე ვიზიტებს. ორი ვიცე-პრემიერი გავგზავნე უკრაინაში, კვირიკაშვილი და კალაძე. სამწუხაროდ, მაშინ ვერც უკრაინის პრემიერ-მინისტრმა და ვერც პრეზიდენტმა მოიცალეს მათთან შესახვედრად. უკრაინაში ჩასვლას ფინანსთა მინისტრიც გეგმავს, იქ უკვე იყო პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი. ასე რომ, ურთიერთობები არ გაგვიწყვეტია, პირიქით. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უკრაინელებსა და მათ მთავრობას გვერდით დავუდგეთ. ვიცი, რომ სჭირდებათ რეფორმები, იუსტიციის სამინისტროს, პოლიციის მიმართულებით. ღიად შევთავაზე დახმარება, პრეზიდენტ პოროშენკოს დავურეკე რამდენჯერმე, პრემიერ იაცენიუკსაც და ვუთხარი, ნებისმიერი სფერო დამისახელეთ-მეთქი. მზად ვარ, გავგზავნო 10, 20 კაცი გრძელვადიანი მივლინებით და ადგილზე აღმოვუჩინო უკრაინელებს დახმარება. თუმცა ამ ეტაპზე მათგან ოფიციალური თხოვნა და მომართვა არ გვაქვს დახმარების თაობაზე. ისიც გასაგებია, არ ვართ აღტაცებულნი, სააკაშვილისა და სხვების იქ ყოფნით. უკრაინის პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის ეს უსიამოვნოა, მაგრამ ეს მათი არჩევანია, მათ ასე სჭირდებათ, იმ ვითარებაში. ყველამ ვიცით, რას აკეთებს და გააკეთებს სააკაშვილი უკრაინაში — იმას, რაც მან საქართველოში გააკეთა და იქაც იგივეს მიიღებს.

— „პირველი რადიო“— კითხვა 1 ლარად გადაცემულ ქონებას ეხება: საუბარია უჩა მამაცაშვილის შვილობილ კომპანიაზე, რომელსაც 2 მილიონი ღირებულების მიწა გადაეცა, ეკონომიკის სამინისტრომ კი განმარტა, რომ ამ მიწაზე 45-მილიონიანი ინვესტიცია განხორციელდება. მაშინ რატომ შეექმნა მიწის ლარად გადაცემის გამო კახა ბენდუქიძის აგრარულ უნივერსიტეტს პრობლემები?

— ახლა თქვენ ცდილობთ, ხალხი შეცდომაში შეიყვანოთ. „თანაინვესტირების ფონდისთვის“ გარდაბანში მიწის სიმბოლურად გადაცემასთან უჩა მამაცაშვილს კავშირი არ აქვს. ინვესტიციას დებს ფონდი და არა მამაცაშვილი. ეს იყო გამოუყენებელი, 2 მლნ ლარად შეფასებული მიწა, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში. 30 ჰექტარზე შენდება ულტრათანამედროვე სტანდარტების სათბური, სადაც მოვიყვანთ ქართული ჯიშის კიტრსა და პომიდორს და ამით იმპორტირებული ჯიშების 30%-ს ჩავანაცვლებთ. ეს ეროვნული საქმე არაა?! სახელმწიფო ამ პროექტის თანამონაწილეა, სწორედ ამ მიწით შევდივართ ამ პროექტში. რა შუაშია აქ უჩა მამაცაშვილი? ჯამში, ეს პროექტი 45 მლნ ლარი ჯდება და ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას. თუ თანაინვესტირების ფონდი ასეთივე პროექტს სხვაგანაც წამოიწყებს, მზად ვართ, ეს პროექტები განვიხილოთ და ისევ 1 ლარად გადავცეთ, თუკი მომგებიანი იქნება. ფონდი 1 ლარის სანაცვლოდ, 2 მილიონი ლარის ღირებულების მიწაზე აკეთებს 45 მილიონი ლარის ინვესტიციას. ეს რატომ არაა მიმზიდველი სახელმწიფოსთვის?! ეს ეხმარება ადგილობრივ წარმოებას და ქმნის სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ზიზღის არითმეტიკა

ლევან სეფისკვერაძე

მე რომ მეგრელი ვიყო, ყოველდღე თუ არა, კვირაში ორჯერ მაინც შევჭამდი გებჟალიას (რომელიც, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო კერძია) ნიგვზიან ხარჩოს, ელარჯს, დავაყოლებდი კარგ ოჯალეშს, მეყოლებოდა ვერზილა კამეჩები, რომლებიც მომცემდნენ რძეს, ამ რძისგან გავაკეთებდი საოცარ მაწონს, დიდებულ სულგუნს, გავყიდდი თბილისში, ბათუმში, ფოთში და ვიცხოვრებდი ტკბილად და გემრიელად.

მაგრამ ერთ დღეს, თუკი გავიგებდი, რომ მავანმა არაკაცებმა და არაადამიანებმა ჩემი მცირეწლოვანი შვილი სკოლიდან წაიყვანეს, დასვეს დარბაზში და ზიზღის არითმეტიკას აზიარეს (ციხის კადრები თუ რაღაც ოხრობა), ჯერ სკოლის დირექტორს მოვთხოვდი ამაზე პასუხს, მერე ჩემი სოფლის გამგებელს, მერე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს და ბოლოს იმ ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც ეს საძაგლობა დაგეგმეს და განახორციელეს.

მჯერა, ფოთსა თუ ჩხოროწყუში ბევრი ფიქრობს ჩემსავით და ბევრმა გააპროტესტა წინა კვირას სამეგრელოში მომხდარი უზნეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის პროტესტი ხელისუფლების მხრიდან ამჯერადაც „ნაციონალების ბნელ ხრიკებად“ გამოცხადდა და ჩვენი შვილების სულის მომწამვლელი პოლიტიკანები კვლავ უტიფრად ამბობენ, რომ „ისეთი არაფერი“ მომხდარა და „ბავშვებს რეალობა აჩვენეს“.

მე რომ „გამპრავებელი ექსპერტი“ ვიყო, აქ ხელისუფლების მიმართ ნახევრად ღიმილით დავწერდი, რომ თუ კარგია, თქვენს შვილებს აჩვენეთ ეგ „რეალობა“ და ჩვენს შვილებს თავი დაანებეთ-მეთქი, მაგრამ მათმა შვილებმა რა დააშავეს? ისედაც ამ საზიზღარ და აგრესიით სავსე გარემოში გაზრდილ ბავშვებს, რომლებიც უკვე მოესწრნენ მინიმუმ ერთ ომს, რატომ უნდა მოვუწამლოთ გული ზიზღისა და აგრესიის ახალი დოზებით? რატომ უნდა ვუთხრათ მათ, რომ სადღაც, ბნელ ჯურღმულებში, ფუთფუთებენ ადამიანის სახედაკარგული პირუტყვები, რომლებიც ჩვენივე მოძმეებს სცემენ, აწამებენ, ხოცავენ... რატომ, მითხარით, რატომ? ამ ყველაფერს ხომ ისედაც გაიგებენ და ნახავენ, როდესაც გაიზრდებიან და ამ მყრალ რეალობას თვალებში ჩახედავენ. რატომ უნდა მანიპულირებდნენ ჩვენი შვილების გულში გაღვივებული ზიზღითა და ღვარძლით ხელისუფლებასთან მიტყეპებული არაკაცები? არა, ამის პატიება მართლა არ შეიძლება! ამაზე თვალის დახუჭვა უკვე უნამუსობაა!

იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო მოხელეები ორგანიზებას უწევენ მოსწავლეებისთვის პათოლოგიური კოშმარების ამსახველი კადრებისა და ფოტოსურათების ჩვენებას, იმ ქვეყანაში, სადაც ამის გამო ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურა დაისჯება, იმ ქვეყანაში, სადაც მშობლები არ ჯანყდებიან მათი შვილების სულში ეშმაკების ჩასახლების გამო, სამოქალაქო სოლიდარობაზე საუბარიც კი სასაცილოა. არადა, ეს თუ სასაცილოა კიდე...

ერთი ჩემი ნაცნობი ქალბატონი ცოტა ხნის წინ გულნატკენი ამბობდა, რომ მისი შვილი უკვე 13 წლისაა, მაგრამ ნამეტანი გულუბრყვილო ვინმე იზრდება და ისეთი გულჩვილია, ასტრიდ ლინდგრენის „მაწანწალა რასმუსზე“ სამი დღე ტირილით გასკდაო. ამ ქალბატონს მიაჩნია, რომ გულჩვილობა ცუდია და რასმუსადწოდებული უჯიგრესი შვედი ბიჭუნას უბედურებაზე ცრემლთანთხევა სულაც არაა კარგი. იცით, რატომ ფიქრობდა ასე? იმიტომ, რომ ეშინია, მისი გულჩვილი შვილი ამ ძალადობით სავსე საზოგადოებაში არ გაითელოს და არ დაიჩაგროს.

რა ვიცი, მეც ვფიქრობ, რომ ციხის კადრებნახული ბავშვისგან ასტრიდ ლინდგრენის ტექსტებზე ტირილი მართლა უცნაური იქნებოდა. შეთქმულების თეორიები იქით იყოს, მაგრამ, მგონი, ამათაც ეს უნდათ...

„მალე „ოცნებისთვისაც“ დადგება 1 ოქტომბერი“

შეიქმნება თუ არა პარლამენტში „მეოცნებეების“ ახალი ფრაქცია და რაფომ იყიდა იარაღი მურმან დუმბაძემ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მურმან დუმბაძე ნაცმოძრაობის დეპუტატებთან ერთად დაუპირისპირდა აჭარის მთავრობას, ღიად უჭერს მხარს ნაცმოძრაობის მიერ მთავრობის გადაყენების მცდელობას, მაგრამ მასზე კაციშვილი არ ამბობს, ნაცებთან შეკრულიაო“, — ეს ერთ-ერთი რესპუბლიკელის, დავით ზურაბიშვილის განცხადებაა სოციალურ ქსელში და ძნელია, არ დაეთანხმო, მით უმეტეს, როცა სკანდალების მუდმივმა გმირმა, მურმან დუმბაძემ ხელისუფლებას „შეიარაღებული“ ბრძოლა გამოუცხადა და კოალიციიდან ახალი ფრაქციის გამოყოფა დააანონსა. სამაგიეროდ, დუმბაძეს პრემიერმა ღარიბაშვილმა 26 მარტს პრესკონფერენციაზე მოღალატე ეძახა, განაცხადა, რომ აჭარაში ვადამდელ არჩევნებს არ ელის, ყველაფერი დანარჩენი კი პოლიტიკური სპეკულაციაა. „ვფიქრობ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა მე არ უნდა შევაფასო. სამწუხაროა, რომ ჩვენი პარტიის დამფუძნებელმა წევრმა გაურკვეველი მიზნითა და მოტივაციით დატოვა პარტია, შემდეგ რამდენიმე ადამიანიც გავრიცხეთ. ეს მუშა პროცესია და განსაკუთრებული არაფერი ხდება. მოღალატე წევრებს პარტიაში, რა თქმა უნდა, არ გავაჩერებთ. თუ ვინმეს მოღალატეობის ნიშნებს შევამჩნევთ, ადეკვატურ პასუხსაც გავცემთ. ოპოზიციას კი არაფრის თავი არ აქვს... ყველა ის ადამიანი, ვინც ქართველი ხალხის არჩევანსა და „ქართულ ოცნებას“ უღალატა, საკუთარი მოსახლეობის წინაშე აგებს პასუხს, მომდევნო არჩევნებზე. ჩემთვის მურმან დუმბაძე, ჯემალ ფუტკარაძე და მედეა ვასაძე საინტერესონი არ არიან. ისინი ჩვეულებრივი მოღალატეები არიან“, — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა. ვის თამაშს თამაშობს რეალურად ვიცე-სპიკერი, რესპუბლიკელებიდან და „ოცნებიდან“ გარიცხული ბათუმის მაჟორიტარი აჭარასა და პარლამენტში — ამ ამოცანის ამოხსნას თავად მურმან დუმბაძესთან შევეცადეთ, საუბარი კი ახალი ფრაქციის შექმნის თემით დავიწყეთ.

— პარლამენტში თითქოს ერთსულოვნებაა, სადაც უმრავლესობას 88 დეპუტატი ჰყავს. თუმცა აქედან 12 ყოფილი ნაციონალი, მაჟორიტარია და ასეა „ოცნება“ ნაციონალების ხარჯზე შეკოწიწებული. წამოვედი კოალიციიდან, ფრაქციიდან და პარტიიდან — გამრიცხეს, მაგრამ კოალიციის სხვა დეპუტატებსაც აქვთ განსხვავებული აზრი. ეს სხდომებსმიღმა, პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან საუბრისას, პოლიტსაჭოებზე, ურთიერთობებში, არასატელევიზიო, არასამიკროფონო დონეზე ფიქსირდება. თუმცა ეს ადამიანები ბოლო მომენტში ხმამაღლა არაფერს ამბობენ, გარეთ არაფერი გამოაქვთ.

— განსხვავებულ მოსაზრებას საჯაროდ თამარ კორძაია, ომარ ნიშნიანიძე, დავით ლორთქიფანიძე და სხვები აფიქსირებენ. ეს ადამიანები ქმნიან ფრაქციას?

> **— ამ დროს სწორედ ომარ ნიშნიაძეა „ოცნების“ ყველაზე მაგარი მხარდამჭერი და საერთოდ, ვფიქრობ, ხალხი, ვინც ამდენს ხმამაღლა საუბრობს, რეალურად, „ოცნების“ წინააღმდეგ არ წავა. სწორედ ისინი წამოვლენ „ოცნებიდან“, ვინც ახლა ჩუმად არიან. თან მე მმართველ გუნდთან სხვა ტიპის პრეტენზიები მაქვს. ომარ ნიშნიაძეს ვკითხოთ, უნდა მოვიდეს თუ არა მთავრობა პრეზიდენტის ანგარიშის მოსასმენად ან ეკონომიკური გუნდი პარლამენტში, იტყვის — არაო. მე რომ მკითხოთ — უნდა მოდიოდეს. ვინც საღ აზრს იმიტომ არ იზიარებს, რომ ასე ნაციონალებიც ფიქრობენ, ის ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებს. მთავრობასა და პრეზიდენტს შორის შექმნილ მდგომარეობას კი კინკლაობა კი არა, უკვე კონფრონტაცია ჰქვია. გვარები, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ, „ოცნების“, ანუ მთავრობის მხარეს იქნება.**

— მაშინ თქვენ დაასახელეთ გვარები, ვინც არ იქნება მთავრობის მხარეს, თუ მართლა იცით...

— როგორ არ ვიცი, მაგრამ ვერ დავასახელებ. უფლება არ მაქვს, სხვის ნაცვლად ვილაპარაკო.

— საინტერესოა, საიდან იცით ეს დეტალები, თქვენ ხომ პოლიტსაბჭოს სხდომებს არ ესწრებით?

— ვიცი, რა ხდება იმ პოლიტსაბჭოს სხდომებზე, ამბავი გამოდის. ყველას შეიძლება აგინო ხელისუფლებაში — პრეზიდენტი გალანძღო, პარლამენტარებს დაემუქრო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, მთავრობასა და პრემიერს არ უნდა შეეხო, რადგან ისინი ივანიშვილის რჩეულები არიან. ივანიშვილი არ არის ღმერთი! კომიტეტსმიღმა, სესიებსმიღმა, მეგობრულად ვსაუბრობთ ისე, როგორც ახლა თქვენ გესაუბრებით და ყველას განწყობა ცნობილია. საუბარი პარტია „ქართულ ოცნებაზეა“, თორემ თავისუფალ დემოკრატებს საკუთარი ინტერესი რომ ჰქონდათ, ამაზე ბიძინა ივანიშვილს ჯერ კიდევ მისი პრემიერობის დროს ვაფრთხილებდი.

— ახლა აფრთხილებთ, რომ პარტიაში აქვს პრობლემები — კი მაგრამ, რატომ, თუკი ასე არ მოგწონთ მისი მთავრობა?

— მე საქართველოს მოსახლეობას ვაფრთხილებ. ვიცი, პარლამენტში ჩემნაირად ბევრი ფიქრობს.

— რა გაქვთ საერთო თქვენ და ამ დეპუტატებს — მთავრობის იმპიჩმენტი? რა ნიშნით შეიძლება გაერთიანდნენ ადამიანები ახალ ფრაქციაში?

— ეს შეიძლება ნაცებისა და „ქართული ოცნების“ სიძულვილი იყოს. ერთ დღეს ეს ადამიანები ჩირგვებში აღარ ისხდებიან. მათ შეიძლება აერთიანებდეს პრინციპი, საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, მთავრობას კონტროლს პარლამენტი უწევს, მართლა ამუშავდეს. პარლამენტი მთავრობის ფილიალი არ უნდა იყოს! მთავრობის გადაყენების პროცედურას ამ დეპუტატებმა შეიძლება, მხარი არ დაუჭირონ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამ მთავრობის გადაყენება არ უნდათ, ჯერჯერობით, გამბედაობა არ ჰყოფნით. თუმცა ერთ დღეს, შეიძლება, მათაც გაბედონ. რა შეიძლება გახდეს გადამწყვეტი, ამის განსაზღვრა ძალიან რთულია. მე ის მაწუხებს, რომ შესაძლოა, კონფრონტაციამ ქუჩაში გადაინაცვლოს, რადგან მარგველაშვილს თავისი მხარდამჭერი ჰყავს, ივანიშვილს თავისი.

— ხომ არ გავიწყდებათ, რომ ხალხმა ხმა „ბიძინა მარგველაშვილს“ მისცა?

— გასაგებია, მაგრამ, რადგან ბიძინას მარგველაშვილი აღარ მოსწონს, ე.ი. ჩვენც აღარ უნდა მოგვწონდეს? როცა მისი კანდიდატურა დაასახელა, დიდად აღფრთოვანებული არ ვყოფილვარ, მაგრამ ახლა მაიძულებენ, მეც აღარ მომწონდეს? ასე არ იქნება! მოსახლეობამ პარლამენტში იმიტომ კი არ ამირჩია, რასაც მთავრობა და პრემიერი მეტყვის, ის ვაკეთო და ყველა პროექტზე ხელი ავწიო! არის შემთხვევები, როცა „ოცნების“ კანონპროექტს ვუჭერ მხარს, რადგან, ჩემი გადასახედიდან სწორია, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, მხარი ნაციონალების კანონისთვის დამიჭერია. ნინო გვენეტაძის კანდიდატურას მხარი დავუჭირე, ნაცებისგან განსხვავებით. თავიდანვე ვამბობდი, რომ, თუ მარგველაშვილი ნინო გვენეტაძეს, შალვა შავგულიძეს ან ზაქარია ქუცნაშვილს დაასახელებდა, მათ ხმას მივცემდი. ერთადერთი ვარ 150 დეპუტატიდან, ვინც დააანონსა, რომ პრეზიდენტი გვენეტაძეს დაასახელებდა.

— ამით რას ამტკიცებთ, რომ სულაც არ ხართ ნაციონალებთან შეკრული?

— ნაციონალები გვენეტაძეს მხარს არასოდეს დაუჭერდნენ! მე კი ამის შესახებ წინასწარ ვთქვი. სულ არ მაინტერესებს, ნაციონალები და „ოცნება“ რას ლაპარაკობენ.

— საქმე ისაა, რომ, როგორც კი ნაციონალებმა მთავრობის გადაყენება ახსენეს და თქვენ ინიციატივას მხარი აუბით, იმ ხალხსაც კი, ვისაც ეს მთავრობა არ მოსწონს, უკურეაქცია გაუჩნდა და დღეს ნაციონალებთან შეკრულად მიიჩნევით.

— ამ შემთხვევაში, ეს მოქალაქეები ცდებიან. ნაციონალებმა საკითხი რომ შემოიტანონ, ცივია თუ არა ყინული, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალები არიან, ხელისუფლებამ უნდა თქვას, ყინული ცხელიაო?!

— მგონი, ნაციონალების კი არა, „ოცნების“ თამაშს უფრო თამაშობთ — აჭარაში წითელი ხაზი გაავლეთ და ყველამ გაიგო, ვინ ვისკენ იყო, ახლა იგივეს ამ ახალ ფრაქციაზე საუბრით კოალიციაში ცდილობთ. თქვენ რა, „ოცნებას“ აკვალიანებთ?

— არ მინდა, ხელისუფლება სუსტი იყოს, რაც უნდა ოპოზიციურად ვიყო განწყობილი. ძლიერი ხელისუფლება მჭირდება და დამიჯერეთ, მინდა, მთავრობაც წარმატებული იყოს, ვიდრე გავუშვებთ. ქვეყანას დამოუკიდებელ ადამიანთა კრებული უფრო წაადგება პარლამენტში, ვიდრე მონებისა. არ ვიცი, ფრაქციის შექმნას გაბედავენ თუ არა, ან როდის, მაგრამ ვიცი, პარლამენტში არიან გაბედული ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ. არც ის ვიცი, ვიქნები თუ არა ამ ფრაქციაში. იმპიჩმენტს რაც შეეხება, ფინალი კი არა, დეპუტატების, პარლამენტის პოზიცია მაინტერესებს.

— პროცედურის დაწყებას 60 ხმა ჰყოფნის და ეს რეალურია.

— ჩემთვის საკითხი ასე არ დგას — მთავარია, საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია ჰქონდეს. მარტო იმიტომაა ეს მთავრობა გასაშვები, რომ აჭარაში მხარს ადგილობრივ მთავრობას უჭერს. როგორ შეიძლება, „ძანძურა“ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე იყოს?! ეს ტერმინი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ დაამკვიდრა, თუმცა არავინ იცის, რას ნიშნავს. რომ გავიგო, ბედნიერი კაცი ვიქნები, ამიტომ დავარქვი „ძანძურა“.

— კიდევ ერთი სკანდალი თქვენს გარშემო: არჩილ ხაბაძეს უპირისპირდებით, უზენაეს საბჭოში მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრშიც იყავით — ითქვა, რომ ფუტკარაძე, რომელიც თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, ნაციონალია და მას მხარს სწორედ თქვენ უჭერდით. ასეა?

— ფუტკარაძე ნაციონალი არაა. ამას ვინ ამბობს, ის აქტივისტები, რომლებიც ფუტკარაძის სახლთან მივიდნენ?!

დასასრული მე-5 გვერდზე

„საქართველოს რკინიგზა“ რუსულ კომპანიას ლობირებს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ჩინური კორპორაცია CSR-ის წარმომადგენელი საქართველოში, შპს „ა.ს. ჯგუფი 1990“-ის დირექტორი ავთანდილ საყვარელიძე, „საქართველოს რკინიგზას“ კორუფციულ გარიგებაში სდებს ბრალს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ავთანდილ საყვარელიძე აცხადებს, რომ რკინიგზის ხელმძღვანელობა ტენდერში იმ კომპანიას ლობირებს, რომელიც რუსულ პროდუქციას ამზადებს. მისი თქმით, სატენდერო პირობები „ურალსკიე ლოკომოტივის“ მიერ წარმოებული პროდუქციის პარამეტრებზეა მორგებული. „საქართველოს რკინიგზაში“ საყვარელიძის ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ.

2014 წლის 31 დეკემბერს, „საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა ტენდერი — GEO 140000124, რომელზეც წინადადების მიღება 2015 წლის 27 თებერვალს დასრულდა. ტენდერი რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივების, მოძრავი შემადგენლობისა და თანმდევი ნაწილების შესყიდვას ეხებოდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 10 500 000 ლარი იყო, ტენდერში ორი კომპანია მონაწილეობდა, სს „თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა“ — 10 500 000 ლარით და შპს „ა.ს. ჯგუფი 1990“ — 10 290 000 ლარით.

„შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად ცხადდება კომპანია, რომელიც შეთავაზებულზე ნაკლებ ფასს წარადგენს. მართალია, შპს „ა.ს. ჯგუფი 1990“-მა ტენდერში 210 000 ლარით ნაკლები დააფიქსირა, ვიდრე სს „ელმავალმშენებელმა“ და კანონით, ქართულ-ჩინური კომპანიაა გამარჯვებული, მაგრამ „საქართველოს რკინიგზა“ ტენდერის შედეგებს დღემდე არ აქვეყნებს.

„ვერსიას“ შპს „ა.ს ჯგუფი 1990“-ის საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, **ავთანდილ საყვარელიძე** ესაუბრება:

— ბატონო ავთო, კონკრეტულად, რას ედავებით „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობას?

— „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში ორი კომპანია დავფიქსირდით. ამ ტენდერში ჩვენ ჩინურ პროდუქტს ვთავაზობთ, ხოლო „ელმავალმშენებლი“ რუსულ ლოკომოტივს. ზოგადად, საერთაშორისო რეიტინგებით, ჩინური კორპორაცია, რომელსაც შპს „ა.ს. ჯგუფი 1990“ წარმოადგენს, ამ სფეროში მოწინავედ ითვლება და გარდა ამისა, ჩვენ უკეთესი წინადადებაც გვაქვს. ტენდერი 27 თებერვალს ჩატარდა, სადაც „ა.ს. ჯგუფი 1990“-მა გაიმარჯვა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთი თვე გავიდა, „საქართველოს რკინიგზის“ სატენდერო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ტენდერის შემდეგ გამოგვიცხადა, რომ ჩვენი კომპანიის დოკუმენტაციას არც კი განიხილავდა. ჩვენ ამ ტენდერში 10 290 000 ლარი, ხოლო „ელმავალმშენებელმა“ — 10 500 000 ლარი დააფიქსირა, სხვაობა 210 000 ლარია, თუმცა შედეგი არ ჩანს. ამის შემდეგ, ერთ-ერთი ტელეკომპანიის საშუალებით, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობას მივმართე, კარგად ჩაეხედათ სატენდერო დოკუმენტებში და მოსალოდნელი უსამართლობის პრევენციის მიზნით, გარკვეული ზომებიც მიეღოთ. მოვუწოდე, ჩვენთვის დამსახურებული გამარჯვება არ წაერთმიათ და ამ შემთხვევაში, რუსული კომპანია არ გამოეცხადებინათ გამარჯვებულად. ვფიქრობ, ამ მოწოდების შედეგად, რკინიგზის ხელმძღვანელობამ ყურადღებით ჩაიხედა ამ საქმეში, რადგან ფაქტია, დღეს, ანუ ტენდერიდან ერთი თვის თავზე, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

— კანონით, ტენდერში გამარჯვებულად ცხადდება კომპანია, რომელიც შეთავაზებულზე ნაკლებ ფასს წარადგენს. თქვენ ტენდერში გამარჯვებულად არ დაფიქსირდით?

— არა და სწორედ ესაა საქმე! მოვითხოვთ, შპს „ა.ს ჯგუფი 1990“, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდეს. სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელებისგან ჯერ კიდევ არ მიგვიღია ოფიციალური პასუხი.

— ტენდერი შეჩერდა, გადაიდო თუ რა მოხდა სინამდვილეში?

— ტენდერს თავისი ეტაპები აქვს. პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა, მეორე ეტაპი, ანუ წინადადებების მიღებაც დასრულდა და ახლა მესამე ეტაპი, ანუ კომპანიის შერჩევა-დაზუსტების დრო უნდა დადგეს. „საქართველოს რკინიგზა“ სწორედ ამ ეტაპზე არ გადადის, რადგან ასე რომ მოხდეს, ლოგიკურად, ჩვენ გავიმარჯვებთ. ვეჭვობ, ეს ტენდერი თავიდანვე მორგებული იყო რუსული კომპანიის გამარჯვებაზე.

— ტენდერის შედეგების გამოუცხადებლობის გარდა, ამგვარ ეჭვებს კიდევ რაიმე გიქმნით?

— დიახ, ეჭვს მიმძაფრებს „საქართველოს რკინიგზის“ დაბალი რგოლების, ანუ ტექნიკური სამსახურების მიერ, მხოლოდ რუსულ ენაზე მომზადებული დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამის ვებ-გვერდზეა ატვირთული. რადგან ეს საერთაშორისო ტენდერია, ტექნიკური დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე უნდა მოემზადებინათ. გარდა ამისა, ტექნიკური პარამეტრები მხოლოდ რუსულ ელმავალზეა მორგებული.

— იმის თქმა გსურთ, რომ ტენდერში მოთხოვნილი პარამეტრები ერთი, კონკრეტული კომპანიის წარმოებულ პროდუქციას შეესაბამება?

— დიახ, ასეა. შეგიძლიათ ნახოთ „ურალსკიე ლოკომოტივის“ ვებ-გვერდი, სადაც ამ კომპანიის ტექნიკური პარამეტრებია აღწერილი. ტენდერის პირობებსაც თუ გაეცნობით, ერთი-ერთში იმეორებენ სწორედ „ურალსკიე ლოკომოტივის“ ტექნიკურ პარამეტრებს. ამის მიუხედავად, ჩინური კორპორაცია მზადაა, გაიმეოროს და გააუმჯობესოს ყველა ის პარამეტრი, რასაც რკინიგზა ტენდერის მიხედვით ითხოვს. მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ არსებობს საერთაშორისო რეიტინგები და როგორც „როლს როისი“ ან „მერსედესია“ მსოფლიოში აღიარებული, სწორედ ასეთივე რეიტინგი აქვს ჩინურ კორპორაცია CSR-ს, რომელიც ამ დარგში, ნომერი პირველი მწარმოებელია მსოფლიოში. როგორც იცით, მსოფლიოში ყველაზე სწრაფ და ვიზუალურად ლამაზ მატარებლებს ჩინეთი, უფრო ზუსტად კორპორაცია CSR აწარმოებს. აი, ამ კორპორაციას აქვს სურვილი, რომ მსოფლიოში აღიარებული საკუთარი პროდუქცია საქართველოშიც შემოიტანოს.

— ამ ეტაპზე მხოლოდ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას ელოდებით?

— გონივრული ვადა ამოიწურა, როგორც უკვე გითხარით, ტენდერის გამოცხადებიდან დღემდე, ერთი თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე, ეს ტენდერი შემდეგ ეტაპზე უნდა გადასულიყო. მეორე მხრივ ეს კარგიცაა, რადგან რკინიგზის ქვედა რგოლების მენეჯმენტის „ბოროტი“ ჩანაფიქრი, რათა ჩვენი კომპანია ტენდერიდან მოეხსნათ და გამარჯვება რუსული კომპანიისთვის მიენიჭებინათ, ვერ განხორციელდა. როგორც ვიცი, რკინიგზის ხელმძღვანელობა ახლა იმაზე მსჯელობს, კონკრეტულად რა ნაბიჯებს გადადგამენ შემდგომში.

***

შპს „ა.ს. ჯგუფი 1990“-ის დირექტორი, ავთანდილ საყვარელიძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ „საქართველოს რკინიგზას“ ბაზარზე რუსული კომპანია შემოჰყავს, რომელსაც ორმაგი დანიშნულების ელმავალის გაყიდვის უფლება არ აქვს. მისი თქმით, რუსული კანონმდებლობით, სატვირთო და სამხედრო ელმავლის ქვეყნიდან გაყვანა იკრძალება.

სს „ელმავალმშენებელი“, 1998 წლის 30 დეკემბერსაა რეგისტრირებული. მართალია, კომპანიის მმართველობაში რუსეთის მოქალაქეებიც არიან, მაგრამ „ელმავალმშენებელში“ საქართველოს 10 000 მოქალაქეა დასაქმებული. რაც შეეხება სატენდერო დოკუმენტაციას, რუსულის გარდა, ქართულ ენაზეც მომზადდა.

„ვერსია“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **დაჩი ცაგურიას** დაუკავშირდა, რომელიც ავთანდილ საყვარელიძის ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს: **„ტენდერი, რომელიც მიმდინარე წლის 27 თებერვალს ჩატარდა, ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება არ მიუღია და აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რომელიმე მხარის პრეტენზია ტენდერზე, რომლის შედეგიც ჯერ არ დამდგარა. თუმცა ტენდერის შედეგიც რომ დადგეს, რომელიც რომელიმე მხარისთვის მიუღებელი იქნება, მისი გასაჩივრების ცივილური გზები არსებობს. პირველ რიგში, ჯერ რკინიგზაშივე უნდა გასაჩივრდეს, შემდეგ — შესყიდვების სააგენტოში და ბოლოს — სასამართლოში. ოღონდ ტენდერის შედეგი მაშინ უნდა გასაჩივრდეს, როდესაც ოფიციალურად დასრულდება. იმის გამო, რომ ტენდერი არ დასრულებულა, არადა, მასში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი მედიაში ტეხს აჟიოტაჟს, მაფიქრებინებს, რომ ეს ხელოვნური სპეკულაცია და არაჯანსაღი დამოკიდებულებაა“.**

„მალე „ოცნებისთვისაც“ დადგება 1 ოქტომბერი“

მე-4 გვერდიდან

ისინი ჯერ ნაცები იყვნენ, დღეს „გაქოცდნენ“, მერიის თანამშრომლები და „თავისუფალი თაობის“ წევრები არიან, რომელთაც საქართველოს მთავრობა მართავს. „ოცნება“ და ნაციონალები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს მართვის ფორმებით. როცა პარტიიდან გამიშვეს, ყველა პირველი პირი ამბობდა, მურმან დუმბაძე მოღალატეაო, მე კი ეს სიტყვა „ნაცებისგან“ მესმოდა. ეს აქტივისტი ბავშვები დაბნეული ცხვრები არიან. ჯემალ ფუტკარაძე კი განსხვავებულ აზრს გამოხატავს და ამიტომაც არ მოსწონთ.

— და თქვენი ვინაა, თქვენს სახლში რომ ჩაატარა პრეს-კონფერენცია?

— ჩემი მეგობარია, აჭარაში „ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და უმაღლესი საბჭოს წევრი. თუმცა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოაცხადა, რომ ის პარტიიდან გარიცხულია. მარტო დეპუტატად კი არ ვარ არჩეული, ბათუმის მაჟორიტარიც ვარ და თავმჯდომარის მოადგილე, ტერიტორიული პრინციპით. აჭარის ავტონომიას წარმოვადგენ პარლამენტში, რაც ნიშნავს, რომ არათუ ყველა მოვლენის საქმის კურსში უნდა ვიყო, ყველა პროცესს სიღრმისეულად უნდა ვიცნობდე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უმაღლეს საბჭოში 21 კაცს ვმართავ.

— ამას რომ გაბრალებდნენ, იმიტომ გაგრიცხეს, თავის დროზე, პარტიიდან.

— ასე აწყობდათ და ასეც თქვეს — აბა, იმას ხომ არ იტყოდნენ, დუმბაძე მთავრობის იმპიჩმენტს ითხოვსო?!

— იარაღი რატომ იყიდეთ, ეს პრობლემები სხვანაირად არ გვარდება?

— სროლა ვისწავლე, უკვე მიზანშიც კარგად ვისვრი. იარაღის გამოყენებას არ ვაპირებ, მაგრამ, როცა მთავრობა ქირაობს მერიის ბავშვებს, რომლებიც ადგილობრივ დეპუტატებს ხელს ურტყამენ, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ვერ გიცავს. პატრული კი დგას და იცინის, რადგან ისიც სამთავრობო გუნდშია.

— გია ცაგარეიშვილი ამბობდა, რომ ამ პროცესებში თავისუფალი დემოკრატების ჩათრევა გინდოდათ. ასე იყო?

— ალასანიას პარტიას სამი წარმომადგენელი ჰყავდა, მათგან ერთი „ოცნებაში“ გადახტა და ორნი დარჩნენ. როცა აგვისტოში „ოცნებამ“ „ძანძურას“ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო, თავისუფალი დემოკრატები არ დაეთანხმნენ, ახლა კი თვითონ დააყენეს ეს საკითხი. აქ ლოგიკა სადაა, ამიხსენით?!

ნაციონალურმა მოძრაობამ ძლივს გამოიღვიძა და მთავრობის გადაყენების საკითხი დააყენა. აჭარის უზენაესმა საბჭომ კი ეს ჯერ კიდევ 2014 წლის აგვისტოში მოინდომა. ნელ-ნელა „ოცნება“ მართლა ნაციონალებს ემსგავსება. ხომ იცით, ცოლ-ქმარი დაბერდა, ქმარი ცოლს ველარ ეფერება და ეუბნება, ვბერდები და გინათესავდებიო — ასეა ახლა ამათი საქმეც.

— ცოლი რომელია?

— ცოლი — „ნაცები“, ქმარი — „ქოცები“, ბერდებიან და ერთმანეთს ენათესავებიან. ახალგაზრდა საყვარელი უნდა გაჩნდეს, როგორც ძლიერი კონტროლი მთავრობაზე.

— ჰოდა, „ახალგაზრდა საყვარელი“ თქვენ და ახალი ფრაქცია გამოდიხართ.

— მე ვარ ადამიანი, რომელიც ეცდება, არსებობდეს ძლიერი კონტროლი მთავრობაზე. თუ ასე არ მოხდა, „ოცნებაც“ ნაციონალებივით ჩაფლავდება.

— ვიცე-სპიკერის პოსტიდან თქვენი გადაყენების საკითხს როდის დაუბრუნდებიან პარლამენტში?

— არ გამოსდით და არც გამოუვათ ეგ ამბავი. კონსტიტუცია არ იძლევა ამის საშუალებას, რადგან 114 კაცი სჭირდებათ. „ოცნება“ კი 100 კაცსაც ვერ შოულობს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოსატანად.

— იარაღს ტყუილად არ იყიდდით. რამეს ხომ არ ელით?

— ისე, სასაფლაო ნაყიდი მაქვს, სხვათა შორის, საგვარეულო სასაფლაოა, სადაც ჩემი მშობლები არიან დაკრძალულნი, თუმცა ჩემს იარაღს გამოყენება არ უწერია. ეს ჟესტი იყო ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რომ ქვეყანაში ძალადობა შეწყვიტოს. თუმცა ახალი მთავრობა, ძველთან შედარებით, გაცილებით უხერხემლოა ამ საქმეში. მალე „ოცნებისთვისაც“ მოვა 2012 წლის 1 ოქტომბერი.

— ვინ უნდა მოიყვანოს, ესაა საქმე.

— ქუჩაში რომ გახვალთ, ვინც პირველი შეგხვდებათ, ის მოიყვანს ამ დღეს — ადამიანი, ხალხი და ამას ბიულეტენით გააკეთებს! 2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ საკონტროლო პაკეტით ვერასგზით ვერ მოვა.

კაიბიჭებში შეპარული „კრისა“ და 100 ათასად შეფასებული ოქროს საათი

როგორ გაშიფრა „პადდელნიკმა“ ძმაკაცი ნათლიის ბინის გაძარცვისას

პატიმარი №0578

როცა პატიმარი სასჯელის მოსახდელად ზონაზე გადაჰყავთ, ციხის ადმინისტრაცია აუცილებელ კითხვას სვამს: „ამა და ამ ზონაზე მიდიხარ და მტერი ხომ არ გყავს იქ?!“ თუ პატიმარს იმ კონკრეტულ ზონაზე წასვლა არ სურს, უნდა თქვას, რომ მტერი ჰყავს, თუმცა იმ მტრის დასახელებაც უწევს სახელითა და გვარით.

ხშირია შემთხვევა, სამტროდ გადაკიდებულ პატიმარს შეგნებულად დაუმალავს სიმართლე, სწორედ იქ წასულა, სადაც მტერი ეგულებოდა და შემდეგ ზონაზე სისხლიანი კალო დატრიალებულა. სწორედ ამიტომ, ციხის ადმინისტრაციას ასი თვალი და ასე ყური მართებს, რომ რაღაც არ გამოეპაროს. პარალელურად, პატიმარს იმ ზონის ადმინისტრაციაც ამოწმებს, სადაც მიჰყავთ. ცალკე ამოწმებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიც. მიუხედავად ამისა, სამტროდ გადაკიდებული პატიმრების შეხვედრა არცთუ იშვიათია და მერე...

„ვახ, მე შენი დედა, დათო... შენი დედა ჩემი ამ დღეში ჩაგდებისთვის“, — რუსთავის №17 ზონაზე ასე იწყებდა გიგა დ. ყოველ დილას. პატიმრებმა იცოდნენ, რომ დათო გიგას „პადდელნიკი“ იყო და სწორედ მას აბრალებდა ციხეში მოხვედრას.

„ბაითში შევძვერით, გისოსი გავწიეთ, ის გარეთ დარჩა. რომ გავაწოდე გასაწოდებელი, გისოსი ვეღარ ავწიე მარტომ. დავუძახე, მოდი, მომეხმარე-თქო და მიმატოვა იმ ბოზმა. დავრჩი, როგორც მხეცი — გალიაში. რამდენჯერმე შევეცადე გაძრომას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ორი დღე ვიცხოვრე იმ სახლში, მობილური საქმეზე როგორ მექნებოდა, ტელეფონი კიდევ არ იდგა. იმ დედააფეთქებულმა ორი დღე არ მომიკითხა. ვითომ არ იცოდა, სად ვიყავი? ან იქნებ ფიქრობდა, დაიჭირესო? მესამე დღეს მოვიდნენ სახლის პატრონები და ეზოდანვე შენიშნეს, გისოსი ოდნავ გაწეული რომ იყო. პოლიციას გამოუძახეს და მათთან ერთად შემოვიდნენ სახლში. ასე დამიჭირეს და... ოხ, დათო, მე შენი...“ — არ ცხრებოდა გიგა.

„რა უბანში იყავი?“ — ღიმილით ჰკითხა პატიმარმა №0578-მა.

„საბურთალოზე, ვაჟას ძეგლთან, სვანების პროფილაქტიკა რომ არის, იქ ვიყავი“, — თვალი მოჭუტა გიგამ.

„და მანდ სად არის სვანების პროფილაქტიკა?!“ — დაინტერესდა ერთ-ერთი სვანი პატიმარი.

„სად და, ზედ ვაჟას ძეგლთან, აბა ის რქები რომ ყრია, რა გგონია, ძეგლის შემადგენელი ნაწილია?!“ — გაეღიმა გიგას და ისევ დათოს გინებაზე გადავიდა.

ერთ რიგით დილას გიგამ ისევ დათოს გინებით გაიღვიძა, მერე ნარიდან ჩამოხტა, ხელ-პირის დასაბანად პირსაბანთან მივიდა, როცა საკნის კარი გაიღო და კამერაში ზონის მაყურებელი შეოვიდა. მაყურებელი ბიჭებს მიესალმა, მერე გიგას შეხედა და მშვიდად უთხრა: „დღეს დილით ახალი პატიმრები მოიყვანეს. კარანტინში არიან, 2-3 დღეში ამოწევენ ზონაზე. მათ შორის ერთი ტიპია, დათო ჰქვია და ამ ზონაზე იმიტომ მოვედი, ჩემი პადდელნიკი უნდა ვნახო, პრეტენზიები მაქვსო, — ამბობს. პადდელნიკი შენ ხარ, ამბობს, სწორედ შენს სანახავადაა მოსული. მაგ ბიჭის მიმართ შენი დამოკიდებულება ვიცი, იმის დამოკიდებულებაც ვნახე და გაფრთხილებ — ჩემს გარეშე ხელი აიწევა და ორივეს ისე დაგლეწავთ, არც ერთი საავადმყოფო არ მიგიღებთ. არ მინდა აქ ბეზპრედელი და არეულობა. დავსხდებით, ვიბაზრებთ, მტყუან-მართალიც იქ გაირკვევა და გასალახიც. გასაგებია?!“

გიგამ გაოცებისგან პირი დააღო, მერე საკანში მსხდომებს გადახედა გაფართოებული თვალებით, მერე ისევ მაყურებელს შეხედა და...

„რაო, პრეტენზია მაქვსო? მე მაგის სისხლს დავლევ, ეგ ნაბოზვარი ეგა... როგორ გაბედა, ნახე რა...“, — არაადამიანური ხმით იღრიალა გიგამ.

„მომისმინე-მეთქი. შენ შენი სიმართლე გაქვს, იმას თავისი და ზონას მაყურებელი იმიტომ ჰყავს, მტყუან-მართალი არკვიოს. ჩემს გარეშე რამე მოხდება და ჩათვალე, ტრუპი ხარ. ამას ხუმრობის გარეშე გეუბნები. იმას რომ ამოწევენ, სამი დღე არაფერს ვეტყვით, აზრზე მოვიდეს, ზონას შეეჩვიოს, მერე დავსხდებით და ვიბაზრებთ“, — დაასრულა მონოლოგი მაყურებელმა.

გიგამ ხელ-პირის დაბანა გადაიფიქრა. სიგარეტს მოუკიდა და ნერვიულად დაიწყო ბოლთის ცემა. უცებ ხმა №0578-მა ამოიღო.

„კი არ გეწყინოს, პატივცემულო, მაგრამ რაღაც უცნაურად აღელდი. იცი, როგორ? თითქოს მიქარული გაქვს რაღაც და... რას იტყვი?!“ — თვალი მოჭუტა №0578-მა.

გიგა ადგილზე გაშეშდა, მერე გაიღიმა და...

„ხომ ვიცი, იმ ბაზარზე შენც იქნები და თავად მოისმენ, ვის რა აქვს მიქარული. მაგის დედას რომ გავაუპატიურებ, მაგისავე თვალწინ, მერე ნახავ“, — დაიმუქრა გიგა.

დაპირებულ „ბაზარს“ ერთი კვირა დასჭირდა. დათო კარანტინიდან მესამე დღეს ამოიყვანეს, კიდევ 3-4 დღე ზონაზე აზრზე მოსასვლელად მისცეს და ერთი კვირის თავზე მაყურებელმა ორივე დაიბარეს კამერაში.

„ჯერ ერთი ბაზრობს, მერე მეორე. ერთმანეთის ბაზარში არ ერევით. მინდა, ბოლომდე მოვისმინო რას იბაზრებთ. მერე კი, თუ თქვენი ბაზარი წინააღმდეგობაში მოვა, ორივე იბაზრებთ ერთად. ხელს რომელიც აწევს, იმ ხელს ვეღარასოდეს ნახავს, რადგან მოვამტვრევ და უკან გავთხრი. რომელი დაიწყებთ?!“ — იკითხა მაყურებელმა, მაგრამ პასუხის მიღებამდე დაამატა: „გიგამ დაიწყოს, თან მოსმენილი მაქვს ამის ისტორია და კიდევ ერთხელ მოვისმენ, მერე შენ გააგრძელე“.

„რაღა დავიწყო? კი იცი შენ, რა და როგორ იყო... ბაითში შევძვერით, უფრო სწორედ, მე შევძვერი, ეს გარეთ დარჩა. ბაითი გავასუფთავე, ამას გავაწოდე ყველაფერი და გისოსის აწევაში აღარ დამეხმარა, იქ დამტოვა და ასე, სირივით დამიჭირეს. პადდელნიკი საქმეზე მიატოვა და კიდევ აქეთ აქვს პრეტენზია?!“ — გიგამ ისტორია მალევე დაასრულა და სანამ დათო დაიწყებდა, კითხვა №0578-მა დასვა. „სანამ მოყვები, როგორ იყო, შეგიძლია, ის თქვა, ახლა რაზე დაგიჭირეს?! ამ საქმეზე რომ არ ხარ დაჭერილი, ფაქტია. გიგა რომ არ გაბოზდა და არ ჩაგიშვა, ესეც ფაქტია. აკაჩავეს, მაყუთი და ოქროულობა სად არისო და რენტგენზეც გადაიღეს, გადაყლაპული ექნებაო, ესეც ვიცით. ანუ, შენ არ გაგიმეტა და რატომ დაგიჭირეს ახლა?!“

„ტელევიზორშიც იყო, რუსთაველზე მაღაზიის ვიტრინა რომ ჩაამტვრია მთვრალმა, მე ვიყავი. ოღონდ ნასვამი არ ვიყავი, არ ვსვამ საერთოდ. სპეციალურად ჩავამტვრიე, ზარალის ანაზღაურება, 12 ათასი ლარიო და როცა უარი ვთქვი, კი მომარჭვეს წელიწადი. მიღირდა ეს წელიწადი, ამისთვის უნდა გამეიასნებინა, რა და როგორ იყო, თორემ გავიგე, ყოველ დილას შენი გინებით იწყებსო და ეს ყოველი დილა უნდა ვანანო. ის ბინა ჩემი ნათლიის იყო. ეჭვი მქონდა, სხვა ბაითებიდან ეს რაღაცებს მპარავდა. ანუ, ბაითში რომ შევდიოდით, სხვადასხვა ოთახებს ხომ ვასუფთავებდით და რაიმე ძვირფას ბეჭედს ან სამაჯურს არ აჩენდა, კრისობდა, რა. იმ ბინაში კიდევ უეჭველი ვიცოდი, რომ ასი ათასად შეფასებული, ოქროს ძველებური საათი იყო. ყველაფერი გამომაწოდა იმ საათის გარდა. იკრისა ისევ. გავბრაზდი და დავტოვე იქ და თუ მე პადდელნიკის დატოვებაში შემედავებით, გეტყვით, რომ კრისა დავტოვე გალიაში და არა კაიბიჭი“, — დათომ გიგას ბრაზით გადახედა.

მაყურებელმა გაოცებით შეხედა ორივეს, მერე დათოს მიუბრუნდა: „ზუსტად მითხარი, სად იყო ეგ ბინა, მნიშვნელოვანია“.

დათომ მისამართი უთხრა, მერე კი მაყურებელმა დაიწყო.

„ორივე საცემი ხართ და არც ერთს არ დაგაკლებთ, გპირდებით. შენ იმიტომ ხარ საცემი, რომ კრისა ხარ, შენ კი იმიტომ, რომ ეგ თემა კაიბიჭებში უნდა გაგერჩია ქურდულად და კრისის სახელით გაგეშვა ეს. შენ კი, პრაქტიკულად, ძაღლებთან ითანამშრომლე. კაიბიჭობაზე სიტყვა აღარ დაასველოთ არც ერთმა, თორემ ცემაში ამოგხდით სულს“, — თქვა მაყურებელმა. შემდეგ ორივე ფეხზე ააყენა და დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ორივეს იმდენჯერ გააწნა სილა სახეში, რამდენჯერაც მოასწრო.

ამ ამბიდან მეორე დღეს გიგა და დათო ერთ-ერთ საკანში შეხვდნენ ერთმანეთს და ვერც ერთმა ვერ გაიხსენა, როდის ამოიღეს შტირები და როდის ეცნენ ერთმანეთს. გიგას სამი ჭრილობა ჰქონდა მუცელში, დათოს ორი და ორივე საავადმყოფოში გააქანეს, ორივე გადარჩა, თუმცა რუსთავის ზონაზე არც ერთი აღარ დაუბრუნებიათ.

* * *

ერთი თვის შემდეგ, საინფორმაციო გამოშვების ყურებისას, №0578-მა ყური მოჰკრა კრიმინალურ ქრონიკას. წამყვანმა ერთ წუთში ჩაარაკრაკა, რომ საბურთალოზე ბინა გაქურდეს და სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, ძველებური ოქროს საათიც დაიკარგა. მეორე დილით №0578 მაყურებლების კამერაში ჩავიდა, მაყურებელს ღიმილით შეხედა და...

„მართლა მნიშვნელოვანი ყოფილა იმ ბინის მისამართი საქმის არსში ჩასაწვდომად“, — ღიმილით უთხრა მაყურებელს.

„ჰო... ბინა აქვთ ჩემებს ჩადებული ბანკში და როგორც მითხრეს, ხვალ დაიხსნიან“, — გაეღიმა მაყურებელს.

კრიმინალი

„თუ ჩემმა მეუღლემ თავი ჩამოიხრჩო, შემთხვევის ადგილზე ლიტრობით სისხლი საიდან გაჩნდა?“

რა მოხდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე და რატომ სთხოვს გარდაცვლილის მეუღლე მთავარ პროკურორს საქმის ხელახლა გამოძიებას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის 3 აგვისტოს, ლოტკინზე, გაურკვეველ ვითარებაში, გარდაცვლილი ნიაზ გარმენია იპოვეს. საქმე თავიდანვე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა, რომელსაც გამომძიებელი ზაქრო კაპანაძე იძიებდა, პროკურორი კი ირაკლი ჩაჩანიძე იყო. ამ ტრაგედიიდან ცხრა თვის შემდეგ, ოჯახმა შეიტყო, რომ სამართალდამცავებმა დანაშაულის ადგილზე სისხლის გუბეებიც აღმოაჩინეს. გარდაცვლილის მეუღლე, მაია მაისურაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ლოგიკურ კითხვას სვამს, თუ ნიაზ გარმენიამ თავი ჩამოიხრჩო, საიდან აღმოჩნდა სისხლის გუბე ტრაგედიის ადგილზე. სამწუხაროდ, გამომძიებელსა და პროკურორს ამ კითხვაზე პასუხი არ გაუციათ, ამიტომ მაია მაისურაძე ეჭვობს, რომ მისი მეუღლე მოკლეს და კვალის დაფარვის მიზნით, ხეზე ჩამოკიდეს.

გარდაცვლილი ნიაზ გარმენიას მეუღლეს, **მაია მაისურაძეს** საქმის გამომძიებლისა და პროკურორის დასკვნის არ სჯერა. სამართალდამცავებმა ოჯახის წევრებს უკვე განუცხადეს, რომ ნიაზ გარმენიამ თავი მოიკლა, მაგრამ მაია მაისურაძე ეჭვობს, რომ თავის დროზე, გამომძიებელმა და პროკურორმა ძიება სათანადოდ არ ჩაატარეს: **„როცა ჩემი მეუღლე პროზექტურიდან სახლში მოასვენეს, მოულოდნელად, შუქი ჩაქრა. ფანრის შუქზე, უცხო ადამიანებმა ჩაასვენეს მაცივარში, ოჯახის წევრებს კი გამოგვიცხადეს, მიცვალებულს არ გადახადოთო. მომხდარის გამო, შოკირებული ვიყავი და მაშინ არც კი მიფიქრია, მეუღლის ცხედარი დამეთვალიერებინა. დარწმუნებული ვარ, ნიაზი მოკლეს, რადგან მისი გარდაცვალებიდან, მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ გვანახეს ტრაგედიის ადგილზე გადაღებული ფოტოები. მათზე, ჩემი მეუღლე ჩანს, ხოლო 10-15 მეტრის დაშორებით, სისხლის გუბეებია. ეჭვს ისიც ამყარებს, რომ მის პერანგზე ადამიანის თითის ნაკვალევიც აღმოჩნდა“.**

მაია მაისურაძე გვიამბობს, რომ 2013 წლიდან დღემდე, ამ საქმეზე გამომძიებელი ორჯერ შეცვალეს, თუმცა უშედეგოდ. მისი თქმით, არც ერთ გამომძიებელს არ მიუქცევია ამ დეტალებისთვის ყურადღება. მეტიც, ეს შემთხვევა ლოტკინის დასახლებაში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, „დენდროპარკის“ ტერიტორიაზე მოხდა. მაისურაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ შემთხვევის ადგილთან ახლოს, „სოკარის“ ბენზინგასამართი სადგურია: **„გამომძიებლებს არაერთხელ ვთხოვე, „სოკარის“ სათვალთვალო კამერებიდან შემთხვევის დღის კადრები ამოეღოთ, მაგრამ ამ კადრების მოპოვება ვერ ან არ მოახერხეს. მეტიც, გამომძიებლებმა ტრაგედიიდან 11 თვის შემდეგ ამოიღეს ჩემი მეუღლის მობილურ ტელეფონზე შესული და გასული ზარების დეტალური სია. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე ჭიქა, „კოკა-კოლა“ და ალკოჰოლური სასმელის ბოთლიც აღმოჩნდა, ჩემი მეუღლის თითების ანაბეჭდი კი მხოლოდ „კოკა-კოლას“ ბოთლზე ფიქსირდება, ეს ყველაფერი კი ურთიერთგამომრიცხავია, რადგან თითების ანაბეჭდი სასმელის ბოთლზე და თუნდაც ჭიქებზე არ არის. იმ ადგილზე რამდენიმე ახალგაზრდა ქეიფობდა, გამოძიებამ იცის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაუკითხავთ. ვფიქრობ, ვიღაცას ხელს აფარებენ“.**

ნიაზ გარმენიას მეუღლემ არაერთი განცხადება შეიტანა პროკურატურაში, საქართველოს მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილსაც მიმართა, რათა საქმე სწორედ ამ ფაქტების გათვალისწინებით გამოეძიათ, თუმცა უშედეგოდ. „ვერსიასთან“ მაია მაისურაძე იმასაც აცხადებს, რომ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ დასკვნა გააყალბა, რადგან დასკვნაში წერია, რომ ნიაზ გარმენია ასპიქსიით გარდაიცვალა: **„ჩემი მეუღლე ჯერ თბილისის ზღვაზე აიყვანეს, მუხლებზე დააჩოქეს, გაგუდეს და ხეზე ჩამოკიდეს, ასფიქსიით როგორ გარდაიცვალა? გამოძიება ვერ ადგენს, ვის ეკუთვნის პერანგზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი. დნმ-ს ანალიზმა კი აჩვენა, რომ ადგილზე აღმოჩენილ სისხლი ნამდვილად ნიაზისაა. თუ ჩემმა მეუღლემ თავი ჩამოიხრჩო, შემთხვევის ადგილზე ლიტრობით სისხლი საიდან გაჩნდა?“**

C ჰეპატიტით დაავადებულთა ხარჯზე ნაშოვნი მილიარდები

კომპანია „გილეადის“ კაბალური ხელშეკრულება — მითები და რეალობა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურებული საკითხი C ჰეპატიტსა და სამკურნალო ახალ პრეპარატებზე, მოსვენებას მსოფლიო მედიასაც უკარგავს. მართალია, თავად პრეპარატები — სოფოსბუვირი და ლედიპასვირი ვირუსული ჰეპატიტების წინააღმდეგ პანაცეად მიიჩნევა, მაგრამ უკვე ნელ-ნელა ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მწარმოებელი კომპანია „გილეადი“ სხვის უბედურებაზე მილიონების შოვნას გეგმავს. თუმცა აჯობებს, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ:

2014 წლის 14 სექტემბერს „გილეადმა“ ხელშეკრულება გააფორმა წამლის მწარმოებელ შვიდ ინდურ კომპანიასთან და მათ სოფოსბუვირისა და ლედიპასვირის გენერიკების წარმოების ლიცენზია მისცა. იმთავითვე გაჩნდა მოსაზრება, რომ „გილეადს“ ფარული ზრახვები ამოძრავებდა და ამ გარიგებაში მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობა მეასეხარისხოვანი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ იმ ქვეყნებში, რომელთაც სოფოსბუვირისა და ლედიპასვირის გენერიკების წარმოების ლიცენზია არ აქვთ, C ჰეპატიტით დაავადებული 73 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და გამოდის, დაავადებულთა 46 პროცენტისთვის მკურნალობა ფუფუნება იქნება. **„უნდა გავითვალისწინოთ, რომ „გილეადის“ ლიცენზია, მგელია ცხვრის ტყავში, კომპანია ამ გზით გაართულებს C ჰეპატიტის მკურნალობას იმ ადამიანებისთვის, ვინც ფინანსურად არაა უზრუნველყოფლი “,** — აცხადებს **ტრეისი სუონი,** Treatment Action Group-იდან. დაუზუსტებელი მონაცემებით მსოფლიოში 185 მილიონი ადამიანია დაავადებული ვირუსული ჰეპატიტით და ყოველწლიურად დაახლოებით 500 ათასი იღუპება, მაგრამ C ჰეპატიტი განკურნებადია, ხოლო ლედიპასვირისა და სოფოსბუვირის კლინიკური ცდებისას, გამოჯანმრთელების მაჩვენებელი ბევრად მაღალი იყო მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით.

მართალია, „გილეადის“ ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ მათი პრიორიტეტია, მკურნალობა ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა თუ სოციალური მდგომარეობისა, მაგრამ მათი ლიცენზია გენერიკების წარმოებაზე, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ განცხადებას. აქედან გამომდინარე, სპეციალისტთა გარკვეულმა ჯგუფმა ერთგვარი სქემა, სადაც კომპანია „გილეადის“ შესახებ მითები და ფაქტები დეტალურადაა გაშიფრული:

მითი №1 — „გილეადს“ სურს, მსოფლიო მოსახლეობისთვის C ჰეპატიტის მკურნალობა ხელმისაწვდომი გახადოს.

ფაქტი — ლიცენზია არ ვრცელდება დაახლოებით 73 მილიონ ადამიანზე, რომლებიც იძულებულნი იქნებიან, პრეპარატი მაღალ ფასად შეიძინონ:

ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი, აშშ, ტაილანდი, თურქეთი, მექსიკა, უკრაინა და საქართველო C ჰეპატიტის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, „გილეადმა“ კი თავის სალიცენზიო ხელშეკრულებაში არ შეიყვანა, რადგან მომგებიან კომერციულ ბაზრად მიიჩნევს. არადა ფაქტია — გენერიკები ბევრად ხელმისაწვდომია, ვიდრე ორიგინალური პრეპარატები.

მითი №2 — „გილეადი“ აფორმებს ხელშეკრულებებს დაბალ და საშუალოშემოსალიან ქვეყნებთან, რათა მკურნალობა იქაური მოსახლეობისთვის ხელმისაწავდომი იყოს.

ფაქტი — „გელიეადი“ აფორმებს ხელშეკრულებას იაფიანი გენერიკების მწარმოებელ ქვეყნებთან, რათა აკონტროლოს და მაქსიმალურად შეზღუდოს ადგილები, სადაც შეიძლება აწარმოონ იაფი სოფოსბუვირი ან ლედიპასვირი. სტრატეგია ასეთია: სურთ, გენერიკების მწარმოებელი კონკურენტები გზიდან ჩამოიცილონ და ალბათ, სწორედ ესაა მიზეზი, ისეთი აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების გაყიდვის აკრძალვისა, რომელსაც ნედლეულად იყენებენ ადგილობრივი სანარმოები. **„ეს ცუდი ნიუსია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც პრეპარატებს აწარმოებენ,** — ამბობს **ოტმან მელუკი,** რეგიონული კოორდინატორი და დასძენს, — **ისეთ ქვეყნებში, როგორიც ეგვიპტეა და 20 მილიონამდე ადამიანია C ჰეპატიტით ინფიცირებული, სახელმწიფო ყველას მკურნალობას ვერ უზრუნველყოფს თუნდაც დაბალი ფასით, რასაც „გილეადი“ სთავაზობს და იძულებულნი არიან, მხოლოდ გენერიკების იმ მწარმოებლებზე იყვნენ დამოკიდებულნი, რომლებიც „გილეადმა“ შეარჩია; ეს კი, ფაქტობრივად, ერთი მონოპოლიის მეორეთი შეცვლაა“.**

პაციენტთა უფლებადამცველებმა და სხვადასხვა ფარმაცევტული კომპანიების იურისტებმა არაერთი საჩივარი შეიტანეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ, რადგან კომპანიას ერთადერთი მიზანი აქვს — აკონტროლოს მსოფლიო ფარმაცევტული ბაზარი — ლედიპასვირისა და სოფოსბუვირის გენერიკების გაყიდვის ლიცენზია 91 ქვეყანას აქვს, მათ კი რეალურად ძალუძთ, კონკურენცია გაუწიონ „გილეადს“. კაბალური ხელშეკრულება კი ყველანაირ უფლებას უკვეცავს.

მითი №3 — კომპანია „გილეადი“ ამტკიცებს, მკურნალობის კურსის ღირებულება — 900 დოლარი — სამართლიანია.

ფაქტი — ექსპერტთა დათვლით, მკურნალობის 12-კვირიანი კურსისთვის საჭირო წამლის დამზადება 101 დილარადაა შესაძლებელი თან ისე, რომ კომპანიას მოგებაც რჩება.

სოფოსბუვირით მკურნალობა, ოფიციალურად, 84 ათასი აშშ დოლარი ჯდება, თუმცა წამალი სხვა პრეპარატებთან ერთად ინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში, 24-კვირიანი კურსიცაა საჭირო, რაც თერაპიას უფრო ძვირადღირებულს ხდის. მართალია, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კომპანიამ მკურნალობის კურსი 900 დოლარამდე დაწია, მაგრამ პრეპარატის მასობრივი წარმოება შეიძლება 101 დოლარადაც, ხოლო ლედიპასვირის წარმოება 93 დოლარზე მეტი არ ჯდება.

სოფოსბუვირის გამაოგნებელი ფასი — 84 ათასი აშშ დოლარი — მას ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის, დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში. როგორი იქნება მისი ფასი საქართველოში, ჯერ კიდევ უცნობია, სამაგიეროდ, გარკვეულია, ჩვენნაირ ქვეყნებს, სადაც გენერიკების გაყიდვის ლიცენზია არ არსებობს, რა უჯდება C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობა: ტაილანდში 1,5 მილიონი ადამიანია დაავადებული ვირუსული ჰეპატიტით და მათი მკურნალობა ქვეყანას 121 მლრდ დოლარი დაუჯდება, ეს თანხა ტაილანდის ჯანდაცვის ყოველწლიურ ბიუჯეტს 13-ჯერ აღემატება, ბრაზილიაში 12-კვირიანი კურსი 7000 დოლარი ჯდება, მაროკოში 625 ათასი დაავადებულია და მკურნალობის ხარჯი 800 მლნ დოლარამდეა. საბოლოოდ, ეს თანხები მინიმუმ 13-ჯერ აღემატება გენერიკებით მკურნალობის ხარჯს.

ასე რომ, „გილეადის“ ლიცენზია ართულებს მკურნალობის ხელმისწავდომობას, გაურკვეველია ისიც, როდის დაიწყებენ სოფოსბუვირის გენერიკების წარმოებას, ექსპერტთა აზრით, ამ პროექტისთვის მინიმუმ ორი წელია საჭირო და მანამდე, „გილეადი“ მილიარდობით დოლარს იშოვის, მით უმეტეს, რომ ახალი პრეპარატი ხარვონი C ჰეპატიტის მკურნალობას ეჭვქვეშ სულაც არ აყენებს — იგი მიიღება რიბავერინისა და ინტერფერონის გარეშე, სოფოსბუვირისა და ლედიპასვირის კომბინაციით. პრეპარატი არა მხოლოდ ეფექტურია, არამედ მინიმალური ტოქსიკურობითაც გამოირჩევა. სოფოსბუვირი ლედიპასვირთან კომბინაციაში, ტარგეტულად ზემოქმედებს სპეციფიკურ ცილებზე და აქრობს სხვადასხვა დაავადების კერებს. ახალი სქემით ადამიანის განკურნება მეექვსე კვირასაა შესაძლებელი და ეს კლინიკური ცდების მეორე ფაზაზევე დადასტურდა.

http://hepcoalition.org/dejstvovat/sredstva-podderzhki/article/licenziya-gilead-na-preparaty

თავისუფალმა და აგრარულმა უნივერსიტეტებმა თიბისი ბანკი საუკეთესო დამსაქმებლად დაასახელეს

თიბისი ბანკმა თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტებისგან საუკეთესო დამსაქმებლის სტატუსი მიიღო.

ბოლო ერთ წლის განმავლობაში, თიბისი ბანკში თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების ყველაზე მეტი სტუდენტი და კურსდამთავრებული დასაქმდა.

საუკეთესო დამსაქმებელი კომპანიები თავისუფალ უნივერსიტეტში 26 მარტს, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში გამართულ დასაქმების ფორუმზე გამოცხადდა.

დასაქმების ფორუმზე თიბისი ბანკთან ერთად წარმოდგენილნი იყვნენ ქართულ ბაზარზე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიები.

„სასიამოვნოა, რომ თავისუფალმა და აგრარულმა უნივერსიტეტებმა საუკეთესო დამსაქმებლად თიბისი ბანკი დაასახელეს. ჩვენთან უკვე საკმაოდ ბევრი თანამშრომელია ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებული. მათი უმეტესი ნაწილი დასაქმებულია ფინანსურ, კორპორატიულ და რისკების განყოფილებებში, აგრეთვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი უნარებითა და პროფესიული შესაძლებლობებით. ამიტომაც ჩვენთვის ამ კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა განსაკუთრებით სასარგებლოა და თიბისი ბანკი მომავალშიც გააგრძელებს ამ სტრატეგიას“, — განაცხადა თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე **პაატა ღაძაძემ**.

„დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო და ახლა ჩვენ გულსაც ვეღარ დაიბრუნებთ“ — რა პრეტენზიები აქვთ ფერეიდნელ ქართველებს ოფიციალურ თბილისთან

ნათია ნოდია

რამდენიმე დღეა, ფერეიდანში ანბანის ძეგლის აღებასთან დაკავშირებით, მითქმა-მოთქმა არ წყდება. ფერეიდნელები ოფიციალურ თბილისს უყურადღებობაში ადანაშაულებენ. **„დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო და ახლა ჩვენ გულსაც ვეღარ დაიბრუნებთ“,** — წერს ფერეიდნელი ქართველი, რომელიც ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დარჩენას ითხოვს.

„ირანში საქართველოს ხალხად გუჭრეტენ და ფერეიდნელ ხალხიც, რომ გამოსულან საქართველოში იქ სპარსელ ხალხად გვხედენ. ორივეგან უცხო ვართ“, — ქართველი ბიჭი, გვარად ასპანანი კი, ამ ამბავს, Facebook-ის პირად გვერდზე, ამგვარად გამოეხმაურა.

არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ოფიციალური თეირანი ინტერნეტს ახშობს. საქართველომდე ელექტრონული სახით ინფორმაციის მიტანა ფერეიდნელებს ძვირად უჯდებათ და ამას ნერვების ფასად ახერხებენ — ინტერნეტ-სერვერი კუს ნაბიჯებზე ნელა მუშაობს.

პირველ რიგში, მთავრობას იერიშები დაუმორჩილებელ უბნებზე მიაქვს. აი, ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეულია ფერეიდანი ირანულ სივრცეში. თუკი თეირანში თანამგზავრული ტელევიზიების აღნუსხვას ფაქტობრივად „დღესასწაულებზე“ აკონტროლებენ, ფერეიდანის ქართველობა მუდმივად კონტროლზე ჰყავთ და გაუფრთხილებლად უჭრიან თანამგზავრულ ანტენებს. ადგილობრივების დაბეზღებაში დახელოვნებულნი არიან მეზობელი ქორდები (ქურთები) და აი, ამ ვითარებიდან იღებს სათავეს რამდენიმე დღის წინ ქართული ანბანის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

ვინ არიან ქორდები, ჩვენებურად ქურთები და რატომ ებრძვიან ფერეიდანის ქართველობას?

ოთხ საუკუნეზე მეტია კახეთიდან შაჰ-აბასმა კახელებს ირანში უკრა თავი. თავდაპირველად, ისპაჰანის პროვინციაში ჩაასახლა, მერე ურჩობისთვის დასაჯა და ფერეიდანის მთიან ადგილზე გაამწესა. იქ შექმნეს რამდენიმე სოფელი და მათ შორის, მთავარი ადგილსამყოფელი „მარტყოფი“ დააფუძნეს. შაჰს ურჩების დასჯისთვის საბაბი მიეცა, თორემ განზრახული ჰქონდა, ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული გურჯები მთიან ადგილზე მიმოეფანტა და ამით მომხდური ტომებისგან დაეცვა თავისი იმპერია. აი, ასე „დაუმეზობლდნენ“ ქართველები ადგილობრივ ბახტიარებს, რომლებსაც ქორდებად მოიხსენიებენ და ახლა უკვე ქურთების სახელითაც იცნობენ.

დღე არ გაივლის მათ შორის წვრილმანი შეტაკებების გარეშე. არადა, რამდენიმე საუკუნის წინ ჩვენებურებმა იმდენად გაითქვეს სახელი ირანის იმპერიაში, რომ გზაზე მიმავალთ სხვა ტომები პირისპირ შეხვედრას ვერ უბედავდნენ და საწინააღმდეგო მხარეს გადადიოდნენ. ქართველმა მეომრებმა ხომ დიდი წვლილი შეიტანეს სპარსეთის გაძლიერებაში და მათი გმირობის მაგალითები უკვე სხვა პუბლიკაციის თემაა.

ახლა ბახტიარები ენის მიტანით, ასევე ქურდბაცაცობითა და წვრილმანი ხულიგნობით ცდილობენ ფერეიდანის ქართველებთან ანგარიშსწორებას. ერთი ბახტიარი ვერაფერს დაუშავებს გურჯს და შეტევისთვის რამდენიმეკაციან ჯგუფებად იწყებენ მობილიზებას. ავიწროებენ გურჯ მეზობლებს. ამ ბოლო დროს კი საკმაოდ ხშირად აყვედრიან თავიანთ სამშობლოს და პირდაპირ მოუწოდებენ ქვეყნის დატოვებისკენ, ახლა ხომ გაიგეთ, თქვენ გურჯისტანში მოგელიან, წაბრძანდით და დაგვიცალეთ ტერიტორიაო — ლაიტმოტივად გასდევს ეს სიტყვები ნებისმიერ შეტაკებას და თუნდაც, მეზობლურ წაკამათებას.

აი, ამიტომ არ დაუშვეს ბახტიარებმა ქართული ანბანის ძეგლის ფერეიდანში აღმართვა და შუაღამეს, როგორც სჩვეიათ, მუხანათაურად გაანადგურეს კიდეც.

რაც შეეხება კითხვებს, თუ რატომ იყო ქართული ასოებით აწყობილი სიტყვა ალაჰი, მოგახსენებთ — ფერეიდნელის მეუღლე გახლავართ, იქ რამდენჯერმე ვიყავი, არაერთი ინფორმაცია მოვიპოვე და ექსკლუზიური რეპორტაჟებიც შემოგთავაზეთ. ამ ფონზე, თავს ვაძლევ შეფასების უფლებას: ეს სიტყვა მათ ირანის ხელისუფლებისთვის დადეს ანბანის სათავეში, თორემ მარტყოფის კედლებზე ბევრგან მინახავს ქართულად ამოგვირისტებული სიტყვა: ღმერთი. დიახ, ამოგვირისტებული, რადგან ფერეიდნელი ქართველები სამშობლოსთან დაკავშირებულ ცნებებს რუდუნებითა და გულისხმიერებით ეკიდებიან.

და როგორ ვპასუხობთ სანაცვლოდ?

ფერეიდნელი ქართველი **ლევან ხუციშვილი**: **„ირანის მთავრობამ ფერეიდნელი ქართველები რომ ამოხოცოს, გამოვა ჩვენი ელჩი ირანში და იტყვის, საკუთარ მოქალაქეებს გაუსწორდნენ ირანშიო? აბა, რას ნიშნავდა მისი განცხადება, ძეგლის დადგმის უფლება არ ჰქონდათ და შედეგად, ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები დააპატიმრაო. იმის მაგივრად, გული გავუთბოთ, რა ხდება? არ ითხოვენ ირანში მცხოვრები ქართველები მატერიალურ დახმარებას, რადგან უჭირს ჩვენ სამშობლოს, მხოლოდ და მხოლოდ დედა ენა, პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოები უნდათ. არაფერში ჩანს ჩვენი ქართველობა? არც იმაში, რომ 4 საუკუნეზე მეტია ირანში და ამას ხაზგასმით ვამბობ — ირანის რეალობაში შევძელით და ენა, თვითმყოფადობა შევინარჩუნეთ“.**

„ესენი არიან თეთრხალათიანი მკვლელები... ორი კვირა ვითხოვდით საკეისროს გაკეთებას და არ გაუკეთეს“

რა გახდა ბათუმის სამშობიარო სახლში 29 წლის ქალისა და ნაყოფის გარდაცვალების მიზეზი?!

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ ბათუმიდან

ბათუმში გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებმა, სამშობიარო სახლის წინ ქუჩა გადაკეტეს — საავადმყოფოს დირექციასა და იმ ექიმებთან შეხვედრას ითხოვდნენ, რომლებსაც 29 წლის ქალის გარდაცვალებაში ადანაშაულებენ. საავადმყოფოსთან მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

29 წლის მაია ვერძაძის ოჯახის წევრები სამშობიარო სახლის ექიმებს გულგრილობასა და არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებენ. პაციენტს ორი ოპერაცია ბათუმის სამშობიარო სახლში გაუკეთეს და შემდეგ ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 25 მარტს, დილას გარდაიცვალა.

ოჯახის წევრების თქმით, 29 წლის მაია სამშობიარო სახლში 20 მარტს მიიყვანეს. ახლობლები ამბობენ, რომ პაციენტს ორი კვირის განმავლობაში მაღალი წნევა ჰქონდა, ოჯახი ექიმებს საკეისრო კვეთის გაკეთებას სთხოვდა, თუმცა მათ ოპერაციის ჩატარება საჭიროდ არ მიიჩნიეს.

„მაია მე მივიყვანე სამშობიაროში. ექოსკოპია რომ გადაუღეს, ექიმმა უთხრა, მკვდარია ნაყოფიო. სასწრაფოდ დავაწვინეთ. არავითარი სისხლდენა არ ჰქონია. ნაყოფი მკვდარი დაიბადა. გვითხრეს, მეორე ოპერაციაცაა საჭიროო და პაციენტს საშვილოსნო ამოკვეთეს. მეორე დღეს მეუბნება ექიმი, სისხლდენაა მუცლის ღრუშიო. ვითხოვდი, დამაკვალიანეთ და ჩემი ფულით გადავიყვან თბილისში-მეთქი, არა, ამის განძრევა არ შეიძლება, მდგომარეობა სტაბილურიაო. დაეწყო სისხლდენა და გაეთიშა თირკმელი. ისევ დაგვიბარეს. გვითხრეს, ძალიან დამძიმდა მდგომარეობა და რეფერალურში ან რესპუბლიკურში უნდა გადავიყვანოთ, ჩვენ დიალიზის აპარატი არ გვაქვსო. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ოპერაციის დროს მუცლის ბადე გაეკაწრათ და ამიტომაც დაიწყო სისხლდენაო“, — **გვიამბობს** გარდაცვლილის ბიცოლა, **იზოლდა მორჩილაძე.**

„თავისი ფეხით შევიდა სამშობიარო ბლოკში. ტყუილია, თითქოს საავადმყოფოში სისხლდენით შეიყვანეს. ვადანაშაულებთ ექიმებს, რადგან 2 კვირით ადრე ვითხოვეთ საკეისროს გაკეთება, როცა პაციენტს წნევა 180 ჰქონდა. რა მოხდებოდა, საკეისრო გაეკეთებინათ? ბავშვიც გადარჩებოდა და ქალიც. ექიმმა ტელეეთერში იცრუა, საკეისროს მოთხოვნით არანაირი განცხადება არ შემოსულაო“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას გარდაცვლილის ოჯახის წევრი **მაგული კოჩალიძე.**

გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან შესახვედრად ბათუმის სამშობიარო სახლიდან არავინ გამოსულა. სამშობიარო სახლს საპატრულო პოლიცია იცავდა. რუსთაველის ქუჩაზე სასწრაფო დახმარების ბრიგადაც გამოიძახეს, რადგან პაციენტის ოჯახის რამდენიმე წევრი ქუჩაში შეუძლოდ გახდა. გარდაცვლილის მეუღლის ბიძა, **ზურაბ დიასამიძე** ექიმებთან შეხვედრას ითხოვდა: **„თუ მართლები არიან ეს ექიმები, ბოდიშს მოვუხდით და წავალთ, მაგრამ არ გამოდიან. სხედან და ტელევიზორს უყურებენ, არ აინტერესებთ, აქ რა ხდება. მათ თეთრხალათიან მკვლელებს ვუწოდებ! მითხარით, რით განსხვავდებიან მკვლელებისგან? იმით, რომ თეთრი ხალათი აცვიათ და ამიტომ არ იჭერენ?!“**

ბათუმის სამშობიარო სახლის დირექტორის, **ნუკრი ბეჟანიძის** განცხადებით, საავადმყოფომ უკვე მიმართა საქართველოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს გარდაცვლილი პაციენტის საქმე. სწორედ სააგენტომ უნდა დადოს დასკვნა, იკვეთება თუ არა საქმეში ექიმების ბრალი: **„ველოდებით სააგენტოს დასკვნას და იმის მიხედვით გაირკვევა ყველაფერი. შეტყობინება გადავეცით და შეისწავლიან. ოჯახის წევრებს არარეალური პრეტენზიები აქვთ. ზოგიერთი ექიმი საერთოდ არ მონაწილეობდა ამ საქმეში და მათ მიმართაც აქვთ პრეტენზიები, ამიტომ რეგულირების სააგენტო გაარკვევს ყველაფერს“.**

საავადმყოფოს დირექტორი გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებს არ შეხვედრია. კითხვაზე, კონკრეტულად რამ გამოიწვია პაციენტის მდგომარეობის გართულება, ნუკრი ბეჟანიძე ამგვარად გვპასუხობს: **„მძიმედ შემოვიდა თავიდან, ეს შემიძლია ვთქვა“.**

მელაანის „სამება“ და „მელია ტულეპიას“ უძველესი სტატუა



გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე მინიმუმ 400 000 წელი!

სუჯეთი

ზიარის ქვის ხანის ღია სამტეხლო
და „ლომისის წმინდა გიორგი“

მანავის ცივიდან ჭერემამდე მიმავალი პირდაპირი, ძველთაძველი გზა, რომელიც წმ. ნინოს უნდა გაევლო, სულ 15-16 კმ-ია, მაგრამ მასზე მხოლოდ ქვეითად შეიძლება მოძრაობა. ამიტომ, ბუნებრივია, ჭერემამდე ახლა შემოვლითი გზით უნდა ჩავაღწიოთ, საამისოდ კი ქალის ციხიდან მანავში უნდა დავბრუნდეთ და მარშრუტი იქიდან შევარჩიოთ. შემოვლითი გზების პირველი ვარიანტით კაჭრეთ-ჭერემის გზა ყველაზე მოკლე, 40 კმ-იანია, მაგრამ იგი ისეა დაზიანებული, რომ შეიძლება ვერც კი დავძლიოთ, მეორე ვარიანტით კაჭრეთს უნდა გავცდეთ და არაშენდის, ზიარის, გურჯაანისა და ზეაგაანის გავლით მოვხვდეთ საჭირო პუნქტში. ეს გზა დაახლოებით 70 კმ-ია. მესამე ვარიანტი დიდი საავტომობილო ტრასაა: მანავი-ბაკურციხე-გურჯაანი-ზეგაანი-ჭერემი. ეს გზა დაახლოებით 90 კმ-ია.

ჩვენ მეორე ვარიანტს ვირჩევთ და გვიმართლებს კიდეც — არაშენდა-გურჯაანის გზა ისე კარგადაა მოასფალტებული, რომ, მგონი, ცენტრალურ ტრასას სჯობს. მიუხედავად ამისა, მარშრუტს ოდნავს მაინც ვიგრძელებთ და ნუგზარ ტაბატაძესთან გამომშვიდობების შემდეგ, **მელაანშიც** შევდივართ. ერთი სიტყვით, რაკი წმ. ნინოს მარშრუტს დროებით ავცდით, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, ანთოკისა და მარიამჯვარის მსგავსად, ლაკბისხევის სოფლებისა და ტაძრების ნახვაც გადავწყვიტეთ.

მელაანში, სადაც 300 კომლამდე მოსახლეა, სადღეისოდ ყველაზე გავრცელებული გვარებია: შინჯიკაშვილი, ჯავახიშვილი, ირომაშვილი, მესხიშვილი და ასკილაშვილი, თუმცა მათ გარდა, კიდევ 14 გვარის წარმომადგენელს შევხვდებით.

სოფლის სახელწოდება ნაყოფიერების წარმართული ღვთაება „მელია ტულეპიასგან“ უნდა მომდინარეობდეს.

როგორც არქეოლოგები დაასკვნიან, ერთხანს მელაანი, ჯიმითთან ერთად, სკვითების შემოსევის ობიექტიც გამხდარა. ამასთანავე მკვლევართა რამდენიმე ჯგუფმა სოფლის მიდამოებში გაცილებით ძველი კულტურული ფენები აღმოაჩინა. მათ შორის ძალიან საინტერესო იყო შაქრო ბიძინაშვილის სამოსახლოში მიკვლეული წარმართული სამლოცველო. ამჟამად ეს სამლოცველო განადგურებულია, თუმცა საბედნიეროდ, გადარჩა მისი ინვენტარი. რაც შეეხება ქრისტიანულ ძეგლებს, მელაანში დიდ სიძველეებს ვერ ვხვდებით: აქ მხოლოდ ბოლო პერიოდის სამი ეკლესიაა: „**წმ. გიორგი**“, „**ღვთისმშობელი**“ და „**სამება**“. მათგან ყველაზე საგულისხმო არქიტექტურული ნაგებობა „სამებაა“. მანავის სოფლის ტაძრის მსგავსად, მელაანის ეს საყდარიც ე.წ. კუპოლ-ჰალეა. იგი ძირითადად, აგურისა და რიყის ქვითაა ნაგები. აქ ყველაზე მეტად ხუროთმოძღვრის ის გარჯაა დასაფასებელი, რომლითაც აგურის კვადრების „თამაშით“ სამკაულები გამოუყვანია.

აღფრთოვანებას იწვევს ყარყარა გუმბათის ყელი.

ტაძრის ფასადის კუთხეებში სიმტკიცისთვის ორ-სამ ადგილას, საფლავის წარწერიანი ლოდებია ჩადგმული, ხოლო ეზოში აღმ. ფასადის წინ, უდროოდ გარდაცვლილი ნათენაძის საფლავზე მარმარილოს მოზრდილი, ლამაზი ქანდაკება დგას.

მელაანიდან ჩრდ-დასავლეთით, ამავე ლაკბისხეობაში, 10-12 კილომეტრში, კიდევ რამდენიმე სოფელია: ნანიანი, ჯიმითი, დარჩეთი, არაშენდა და ქოდალო. ლაკბისხევის ეს სოფლები ძირითადად, ანდრონიკაშვილების კუთვნილება იყო, თუმცა სხვა მემამულე ფეოდალებსაც ჰქონდათ მიწები.

ქოდალოში ორი ეკლესიის დათვალიერებას ვახერხებთ. პირველი მათგანი — „**ღვთისმშობელი**“ სოფლის ცენტრში დგას და ტეტრაკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი საყდარია, რომელსაც გარედან წრიული და აწოწილი ფორმა აქვს. „ტეტრაკონქს“ ძირითადად ადრე შუასაუკუნეებში აგებდნენ ხოლმე და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ XIX საუკუნის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწე აბელ ანდრონიკაშვილმა სწორედ VII საუკუნის დანგრეული საყდრის საფუძველზე ააგო აგურის ახალი ეკლესია. ტაძარში ახლა წირვა-ლოცვა იმართება სადღესასწაულო და უქმე დღეებში.

ოდნავ განსხვავებულ სურათს ვხედავთ ქოდალოს მეორე ეკლესიაში — „**წმინდა გიორგიში**“, რომელიც სოფლის სასაფლაოს თავში დგას. ამჯერად საქმე X-XI საუკუნეების მოზრდილ დარბაზულ, შვერილაფსიდიან ნაგებობასთან გვაქვს. იგი არაა დანგრეული, მაგრამ სწორედ ამის შიშით, ტაძრის 60-სანტიმეტრიანი სისქის კედლები, 80 სანტიმეტრის სისქის დეკორატიული აგურის პერანგით შეუმოსავთ ერთიანად. ერთი სიტყვით, ტაძარი, ალბათ, სპეციალისტების დაუკითხავადაა გადაკეთებული, თორემ ასე სახეს არ დაკარგავდა.

აქ ახლა მხოლოდ საზედაშე ქოცოები გველაპარაკებიან ძველებურად.

ანდრონიკაშვილების კვალს ვხედავთ **არაშენდაშიც**, სადაც 1770 წელს აგებული მათი ორსართულიანი სასახლე და გვიანი შუასაუკუნეების ორი ეკლესია დგას. სოფლის ეს მიდამოები ისევე, როგორც მთლიანად ლაკბისხევი, პერისტორიული ხანის ძეგლებით უფრო გამორჩევა. **არაშენდის ტერიტორიაზე, ბატონმა კიაზო ფიცხელაურმა მუსტიესა და გვიანდელი პალეოლითის ადამიანების საცხოვრისები და სადგომ-სახელოსნო აღმოაჩინა. გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიების მეზობლად, აქ ლამის ყოველ ნაბიჯზე, ქვის ხანის, ბრინჯაოს პერიოდისა და ანტიკური ეპოქის ძეგლებს აწყდებიან არქეოლოგები.** ჩვენც სწორედ იქითკენ გვაქვს გეზი. ქვევით, გურჯაანის მხარეს, ორი სოფელი — **ზიარი** და **ფხოველია**. ორივე მცირე დასახლება ალაზნისა და ივრის აუზების წყალგამყოფი ქედის ყველაზე დაბალი მთაგრეხილის წვერზეა. ზიარი სამხრეთით **ლაკბისხევის** სოფლებს დასცქერის, ჩრდილოეთით — ალაზნის ველს.



ქოდალოს „ღვთისმშობლის“ და „წმინდა გიორგის“ ხედები დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან

აქ ქვის ხანის ოთხი სადგომია მიკვლეული, მაგრამ მათში განსაკუთრებით გამორჩევა ზიარიდან სამხრეთით, ნახევარ კილომეტრში, ე.წ. დურგლიანთ მიწებზე, აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ღია ქვის სახელოსნო.

ძეგლი ძნელი მისაგნებია, მაგრამ მე იმით გამიმართლა, რომ მის მისადგომებთან გურჯაანში მცხოვრები, ამ საქმეში კარგად გარკვეული ადამიანები — გივი ქიტოშვილი და თამაზ მარკოზაშვილი დამხვდნენ. ტყის სიღრმეში დაახლოებით 150 მეტრი დავეშვით ლაკბის მიმართულებით და მინიმუმ 400 ათასი წლის წინანდელ „ქვის საამქროს“ თავზე დავადექით. მეც და ჯგუფის სხვა წევრებსაც უცნაური განცდა დაგვეუფლა. არქეოლოგთა მიერ მკვეთრად გათხრილი პატარა ეზოს ცენტრში, ჩვენი პრეისტორიული წინაპრის დანთებული ცეცხლის ნაცარი ყრია. მოშორებით სამეურნეოდ დაწუნებული კაჟის ანატკეცები, ხელცულების, დანის პირებისა თუ ისრისპირების ფრაგმენტები ყრია გროვად. ერთ მხარეს რძისფერი და მელნისფერი ქანებით აჭრელებული მცირე კლდეა.

ნეტავ როგორ მიაგნეს ამ „მადანს“ — კაჟისა და კირქვის მარაგს? ჩანს, დღე და ღამ მუშაობდნენ, ღამითაც აქ ეძინათ და ცეცხლზე თბებოდნენ...

ნახევარი კილომეტრის იქით, ოღონდ უკვე ტყეში სახელდახელოდ გაჭრილი გზის პირზე კირის გამოსაწვავი ორი დიდი ორმოა. ისინი, რა თქმა უნდა, ღია ქვის საამქროსავით 400 ათასი წლის არ არიან, მაგრამ არც ერთი და ორი საუკუნისა ეთქმის.

ამ ახალგაყვანილ ტყის გზას ბოლომდე თუ გავყვებით, ერთ პატარა, რესტავრირებულ ეკლესიასთან მივალთ. ამ ადგილს კიკოს ტყეც ჰქვია და ჭინჭარაც. იგი ორი სოფლის — ზიარისა და ფხოველის საზღვარია. როგორც გივი ქიტოშვილი მიხსნის, **ჭინჭარა, ჭინჭარუალების გვართანაა დაკავშირებული. ისინი ფხოვიდან მოსულან და თან ლომისის კულტი მიუტანიათ. ამიტომ ჰქვიაო ამ პატარა ეკლესიას „ლომისის წმინდა გიორგი“. თუ ეს ასეა, მაშინ ჭინჭარაულები აქ X-XI საუკუნეებში მოსულან (რაც ძნელად დასაჯერებელია), რადგან ეკლესია სწორედ ამ პერიოდის ძეგლია.**

ფხოველში, სადაც უმთავრესად, ანდრონიკაშვილები ბატონობდნენ, ხოლო ხევსურები მთიდან ჩამოსახლებული მათი ყმები იყვნენ, რამდენიმე კომლს მოურავიშვილები, ზურაბიშვილები და გობიტაშვილებიც ფლობდნენ. ეს უკანასკნელნი კახეთში ანდრონიკაშვილებს ჩამოუსახლებიათ. ფხოველში, ლომისის წმ. გიორგის გარდა, 13 ეკლესია და ნაეკლესიარია, რომელთაგან უმეტესობა გვიანი შუასაუკუნეებისაა, ორი კი („ნათლისმცემელი“ და „ქვაშვეთი“) ადრე შუასაუკუნეების. ყველაზე კოხტა თავისუფალი ჯვრის ტიპის „ყველაწმინდა“ ყოფილა. იგი ტყეში დგას, მაგრამ ძალიანაა დანგრეული.

ზიარიდან გურჯაანში შებინდებულზე ჩავდივართ, სადაც ჭერემის გამგებელი გოგია მთავრიშვილი, გურჯაანის საკრებულოს წევრი ნუკრი ჩიბარაშვილი და ინჟინერი ზალიკო ქართველიშვილი გველოდებიან.

ავტორის ფოტოები

სკანდალური ექსპერიმენტის შოკისმოგვრელი დასკვნა

მეცნიერების შექმნილი სამოთხე ნახევარ წელში ჯოჯოხეთად იქცა — უბრუნველ ცხოვრებაში სოციუმი თავს ინადგურებს!



ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ

1968 წელს მეცნიერმა ჯონ კელხუნმა, ამერიკული ნაციონალური ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტის ბაზაში, შთამბეჭდავი ექსპერიმენტი ჩაატარა — მან ვირთხებსა და ადამიანებს შორის ანალოგია შეამჩნია და შეეცადა, კაცობრიობის მომავალი გამოეცნო. ამისთვის შექმნა ე.წ. სამოთხე თეთრი ვირთხებისთვის — ლაბორატორიაში ააშენეს ხის პატარა, კვადრატული კონსტრუქცია 2x2, 1,5 მ სიმაღლის, საიდანაც ვირთხები ვერ გამოაღწევდნენ. მასში დაცული იყო სათანადო ტემპერატურა, შეჰქონდათ დიდი რაოდენობის საჭმელ-სასმელი და ნაგებობაც პერმანენტულად რესტავრირდებოდა. ვირთხები მუდმივად ვეტერინართა ყურადღების ქვეშ იყვნენ. დაცული იყო უსაფრთხოების ყველა ზომა: გამორიცხული იყო მტაცებელთა გამოჩენა და მასობრივი ინფექციის გავრცელების შანსი. მათი სამყოფელი რეგულარულად იწმინდებოდა და უტრადებოდა დეზინფექცია. ერთი სიტყვით, ვირთხებისთვის შექმნილი იყო ცხოვრების იდეალური პირობები. მეცნიერმა კი ამ მდგომარეობას „ვირთხების უტოპია“, ექსპერიმენტს კი „მსოფლიო-25“ უწოდა. კონსტრუქცია გათვლილი იყო 3840 ვირთხაზე. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ექსპერიმენტის დროს მაქსიმალური პოპულაცია იყო 2200, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა კლება შეინიშნა.

ყველაფრის მოწესრიგების შემდეგ „სამოთხეში“ ვირთხების ოთხი წყვილი შეუშვეს. ამ მომენტიდან მოვლენებს ფაზებად დავყოფთ. ფაზა „ა“ შეგუების პერიოდია: 55 დღის შემდეგ ვირთხებმა გამრავლება დაიწყეს; პირველივე შთამომავლის გაჩენიდან დაიწყო ფაზა „ბე“ — უკვე ყოველ 55 დღეში ისინი ორჯერ მეტნი იყვნენ. 315 დღის შემდეგ ეს რიცხვი შემცირდა, ისინი ორჯერ მეტი უკვე 145 დღის შემდეგ იყვნენ, საიდანაც დაიწყო ფაზა „ცე“ — ამ ეტაპზე თაგვების რაოდენობა 600-ზე მეტი იყო, მათ სამყოფელში ადგილი კი უკვე ძალიან ცოტა იყო. მათ უკვე ჩამოუყალიბდათ გარკვეული იერარქია და სოციალური ცხოვრება. შედეგად:

1. ჩამოყალიბდა „უარყოფილების“ კლასი, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა მამრობითი სქესის ახალგაზრდა ვირთხებისგან. ისინი ცენტრში იყვნენ მიმწყვდეულნი და მუდმივად აგრესიის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ იდეალურ პირობებში დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ მშობლების თაობამ არ გაათავისუფლა მათთვის სოციალური ნიშა. ზუსტად ამიტომ აგრესია, ძირითადად, ახალგაზრდა თაობაზე იყო გადატანილი. ეს შეიძლება დაგვენახა მოჭმული კუდით ან ტანზე ამოგლეჯილი თმით. გაძევების შემდეგ ასეთი მამრი ვირთხები ფსიქოლოგიურად ტყდებოდნენ და უკვე აღარ იცავდნენ თავიანთ ფეხმძიმე მდედრ ვირთხებს.



2. მდედრი ვირთხები უფრო აგრესიულები გახდნენ, რადგან თვითონ უწევდათ შთამომავლობის დაცვა. მოგვიანებით კი, ეს აგრესია გავრცელდა შვილებზეც, რომლებსაც ხოცავდნენ და თავშესაფრის ყველაზე მაღალ „ბუდეში“ გადადიოდნენ საცხოვრებლად, ხდებოდნენ განდეგილები და უარს ამბობდნენ გამრავლებაზე. ამის გამო შობადობამ იკლო, ხოლო პატარა თაგვების სიკვდილიანობამ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. ეს ნიშნავდა, რომ დაიწყო ფაზა „დე“ — ვირთხების სამოთხის ნგრევა. ამ ფაზაში გამოჩნდა ვირთხების ახალი კატეგორია „ლამაზმანები“.

3. „ლამაზმანებს“ ეძახდნენ ისეთ ვირთხებს, რომლებიც არ იქცეოდნენ ისე, როგორც ყველა დანარჩენი: არ იბრძოდნენ ტერიტორიისთვის ან მდედრობითი სქესის წარმომადგენლისთვის, არ გამოთქვამდნენ გამრავლების სურვილს. ისინი მხოლოდ ჭამდნენ, სვამდნენ, ეძინათ და იწმენდდნენ ბალანს.

„ლამაზებმა“ და მდედრობითი სქესის განდეგილმა ვირთხებმა უმრავლესობა წარმოადგინეს. საშუალო სიცოცხლის ხანგძლიობა გახდა 776 დღე, რაც 200 დღით აღემატებოდა რეპროდუქტიულობის ასაკს. ფეხმძიმეთა რიცხვი ვირთხების სამოთხის ბოლო დღეს ნულს უდრიდა. ანომალიურმა ქმედებებმა ვირთხებში ჰომოსექსუალიზმი გამოიწვია. ასევე ვირთხების სოციუმში, საკვების ქონის მიუხედავად, განვითარდა კანიბალიზმი. პოპულაცია ნელ-ნელა ნადგურდებოდა. 1780-ე დღეს მოკვდა ვირთხების სამოთხის ბოლო წარმომადგენელი. ისე გამოვიდა, რომ ვირთხების სოციუმმა თვითონ გაინადგურა თავი. სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქცა.

ექსპერიმენტს „მსოფლიო-25“ დაარქვეს, რადგან ეს იყო ოცდამეხუთე (საბოლოო) მცდელობა ვირთხების სამოთხის შექმნისა, რომლის შედეგიც დაემთხვა წინა ექსპერიმენტების შედეგებს.

ვირთხების სოციუმის მაგალითზე მეცნიერმა შეძლო ეჩვენებინა, როგორი იქნებოდა ადამიანების დაპურებული, უპრობლემო ცხოვრება. ჩვენ საზოგადოებასთან ამ ყველაფრის დაკავშირება არც ისე რთულია. ამ ფაზებში აღწერილი ქმედებების მაგალითები ადამიანებშიც ხშირად გვხვდება. ესენია: მარტოხელა დედები, ოჯახში ძალადობის უამრავი შემთხვევა, უმიზეზო აგრესია, გაზარმაცებული მოქალაქეები და არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები.

http://poznavatelno.net/uchenyj-popytalsya-sozdat-raj-uznajte-chto-iz-etogo-poluchilos/

დოლჩეს და გაბანას მსოფლიოს გეები წყევლიან

„თქვენი პრეისტორიული აზროვნება ისევე ჩამორჩა დროს, როგორც თქვენი მოდა... სიძულვილს აფრქვევთ... გაიღვიძეთ, ბიჭებო!“

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ

ლეგენდარულმა მოდელიორებმა, დოლჩემ და გაბანამ, ლგბტ საზოგადოება გააბრაზეს, განაცხადებით, რომელშიც თქვეს, რომ არ ემხრობიან ერთსქესიანთა ქორწინებას. პროტესტს ცნობილი სახეები შეუერთდნენ, ბევრმა კი უკვე მოასწრო პროტესტის ნიშნად მათი ტანსაცმლის დაწვა.

ბრენდის Dolce&Gabbana-ს დამაარსებლებმა სტეფანო გაბანამ და დომენიკო დოლჩემ, იტალიურ ჟურნალ Panorama-სთან ინტერვიუში ხედვა ჩამოაყალიბეს და თქვეს, რომ მხოლოდ ტრადიციული ოჯახის მომხრეები არიან: **„არავითარი ხელოვნურად შექმნილი შვილები და საშვილოსნოს გაქირავება: ცხოვრებას ბუნებრივი კალაპოტი აქვს და არის გარკვეული მოვლენები, რომლებიც არ უნდა იცვლებოდეს. შენ გაჩნდი დედისა და მამის წყალობით, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ყოფილიყო. ჩასახვა სიყვარულის აქტია. ძალიან მალე ფსიქიატრები ამ მოვლენების შედეგებს მოიმკიან“.**

სტეფანომ თქვა, რომ უნდა ოჯახი. დომენიკო კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ არ აპირებს ოჯახის შექმნას: **„მე გეი ვარ, ამიტომ ვერ მეყოლება შვილი. ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაფერი ვერ გექნება, რასაც მოისურვებ“.**

ინტერვიუმ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სოციალურ ქსელებში და იმდენად გააბრაზა ლგბტ-საზოგადოება, რომ მოფიქრებული იქნა ჰეშტეგი #BoycottDolceGabbana, რომელიც უკვე ასი ათასზე მეტჯერ იქნა გამოყენებული. ინტერნეტმომხმარებლები წერენ: „აქ სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ არავის აქვს უფლება, სხვა ადამიანებს მიაყენოს შეურაცხყოფა“; „მშობელი გეების ასეთი უპატივცემულობა დაუშვებელია!!!“; „სულელი უნდა იყო, რომ ასეთი რამ თქვა!“

ვითარება სრულიად შეიცვალა, როდესაც **ელტონ ჯონმა** ინსტაგრამზე ხალხს იტალიელი დიზაინერების ბოიკოტისკენ მოუწოდა: **„თქვენი პრეისტორიული აზროვნება ისევე ჩამორჩა დროს, როგორც თქვენი მოდა. არასდროს ჩავიცვამ Dolce&Gabbana-ს“.**

მალე პროტესტს შეუერთდა კორტნი ლავი, რომელმაც ინსტაგრამზე დაწერა: **„შევაგროვებ ჩემ კარადაში რაც კი Dolce&Gabbana-ს ტანსაცმელია და დავწვავ. უბრალოდ სიტყვებითაც ვერ ვხსნი ჩემ ემოციებს. ბოიკოტს ვუცხადებ უაზრო ფანატიზმს!“**

რიკი მარტინმა დიზაინერებს ტვიტერის საშუალებით მიმართა: **„თქვენი განცხადება უდიდეს სიძულვილს ავრცელებს. უკვე 2015 წელია, გაიღვიძეთ, ბიჭებო. გიყვარდეთ თქვენი თაყვანისმცემლები“.** რიკიმ ისევე, როგორც ყველამ, პოსტის ბოლოს დაამატა ჰაშტეგი #BoycottDolceGabbana.

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					5		1	
2			3		9			7
			2	8	7	6		
7	2							4
6			7		4			5
5							3	8
		4	9	7	3			
3			4		2			1
	7		8					

სუდოკუ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2				7	5			
4	1		3		8	9		
	5							1
	2	1			4			6
8			7			3	9	
5							1	
		2	9		7		3	4
			2	6				7

სუდოკუ ᲠᲗᲣᲚᲘ

		4			1	6	9	
	6		9			7		
5					4	2		
4		3			8		7	
	7		2			8		4
		2	1					7
		7			3		6	
	4	6	8			9		

სუდოკუ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	5			4	3	6	2	
		6		1	2			8
	9			2	6			4
	6	5				8	3	
8			3	5			6	
7			2	6		1		
	2	1	4	8			5	

ამერიკელს ატრაქციონზე დაქორწინება სურს

აშშ-ს მკვიდრმა მანდილოსანმა განაცხადა, რომ სურვილი აქვს, ცოლად გაყვეს... ატრაქციონების პარკს, რომლის მიმართაც უკვე მრავალია წელია, ნაზი გრძნობები აქვს. ემი ვულფი ეკლესიაში ორღანზე დაკვრით შოულობს ფულს და 10 წელია, რასაც იღებს, იმასაც ადგილობრივ გასართობ პარკში სტუმრობაზე ხარჯავს. ამ ხნის განმავლობაში ქალმა მოახერხა და 3 ათასჯერ გაინავარდა საყვარელ ატრაქციონზე „1001 ღამე“ — ეს 24 მეტრის სიმაღლეზე დაკიდული მატარებელია. 33 წლის პენსილვანიელი ქალის თქმით, ასეთი ხანგრძლივი „თაყვანისცემა“ საკმარისია იმისთვის, რომ დაქორწინდეს. ატრაქციონზე გათხოვების შემდეგ კი ემი გვარის შეცვლას აპირებს — ამ გასართობის ავტორის პატივსაცემად, ვებერი გახდება. მომავალი „მეუღლე“ ქალმა 13 წლის ასაკში ნახა და მაშინვე ნაზი გრძნობები დაეუფლა. მე ის ისევე მიყვარს, როგორც ქალს — ქმარი და ვიცი, მუდამ ერთად ვიქნებით.

ტემპერამენტი და სისხლის ჯგუფი

სექსუალურობა სისხლში ჰორმონების დონის მიხედვით განისაზღვრება. ჰემატოლოგებისა და ფსიქოლოგების ერთობლივმა გამოკვლევამ სასიყვარულო ტემპერამენტსა და სისხლის ჯგუფს შორის გასაოცარი დამოკიდებულება გამოავლინა. ამ გამოკვლევის მიხედვით, ის ადამიანები, რომელთაც პირველი ჯგუფის სისხლი აქვთ, შეიძლება „დამპყრობლებად“ ჩავთვალოთ. ისინი მიეჩვივნენ ყველაფრის ერთბაშად მიღებას და თუ ასე არ ხდება, მაშინ გამოცდილი მონადირესავით იწყებენ მოქმედებას. არ დამშვიდდებიან, ვიდრე სასურველს არ მიაღწევენ. ასეთი მამაკაცები ძალიან ფიქრობენ სექსზე, მაგრამ მათ შორისაც არიან შრომისმოყვარეები, ვისთვისაც პირველ ადგილზე სამსახურია, მაგრამ ერთგულებით არვ ისინი გამოირჩევიან. პირველი ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცთან რომანის გაბმას ნუ იჩქარებთ, რადგან იოლმა გამარჯვებამ შესაძლოა, ვნება ჩააქროს. თუ ურთიერთობა აეწყო, რომანი მეტად მშფოთვარე იქნება, მაგრამ ასეთ მამაკაცს სექსუალურ ცხოვრებაში დროდადრო სიახლეებიც სჭირდება.

მეორე ჯგუფის სისხლის მქონეები მგრძნობიარე რომატიკოსები არიან, მშვიდები და მომთმენები. ურთიერთობებში ხშირად მორიდებულობაც კი უშლის ხელს. მეორე ჯგუფის წარმომადგენელი დიდხანს დასდევს რჩეულს, უსრულებს ყველა ახირებას, მაგრამ ძალიან უჭირს სიყვარულის გამხელა და ახლო ურთიერთობა. პატარა გოგოებს იშვიათად უყვარდებათ ასეთი მამაკაცები, მაგრამ უფროს მანდილოსნებს შეუძლიათ მათი დაფასება — გარეგნული სიმშვიდის მიღმა მგრძნობიარე სული იმალება და ასეთ მამაკაცს თუ უყვარდება, მერე გრძნობების გამოხატვასაც არ ერიდება. მისი გულის მოსანადირებლად კი ქალებს გარკვეული დიპლომატია სჭირდებათ — ის ფრთხილად უნდა წაიყვანოთ სწორი მიმართულებით და გამაწყვეტი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგოთ, მაგრამ ეს ძალიან დელიკატურად უნდა გააკეთოთ.

მესამე ჯგუფის სისხლის მქონეები ნამდვილი „ფლეიბოები“ არიან — არ ისწრაფვიან „დამპყრობის“ როლისკენ, უბრალოდ მოსწონთ გოგონებთან შეხვედრა, გართობა. მათთვის სექსი ერთგვარი სასიამოვნო დასვენებაა, მასზე უარის თქმა კი სულაც არ აღიქმება ტრაგედიად, რადგან შეუძლიათ, ადვილად გადაერთონ დროსტარების სხვა სასიამოვნო სახეობაზე. გასაოცარია ალბათ, რომ ამერიკელი მილიონერების თითქმის 40%-ს სწორედ მესამე ჯგუფის სისხლი აქვს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ ჯგუფის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ ძლიერი გრძნობების განცდა. ზოგჯერ ეს სულიერი მღელვარების, მტანჯველი ფიქრებისა და ეჭვების მიზეზიც ხდება. მაგრამ ყველაფრის გადატანა მათ მარტოობაში ურჩევნიათ, რადგან საკუთარ საიდუმლოს არავის ანდობენ. ასეთი ფლეიბოი რომ მოხიბლოთ, აჯობებს, ისე მოაჩვენოთ თავი, თითქოს ის საერთოდ არ გაინტერესებთ. თქვენი გულგრილობა მის ინტერესს გააღვივებს, მაგრამ იმის გარანტიას ვერავინ მოგცემთ, რომ გრძნობები თქვენს მიმართ დიდხანს გაჰყვება.

მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანების ხვედრი მუდმივი მოძრაობაა. ისინი ენერგიულები, კონტაქტურები არიან და დიდი ნებისყოფა აქვთ. მათ შეუძიათ ისე აცდუნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, დიდი დრო არ დახარჯონ, მაგრამ როგორც კი თვითონ შეუყვარდებათ, უკვე ძალიან რთულადაა საქმე — იტანჯებიან. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს გამუდმებით აწუხებთ ეჭვები, გაურკვევლობა... ძლიერი გრძნობა მათთვის წინააღმდეგობებისთვის თავის დაღწევაა. რასაკვირველია, ასეთი მამაკაცები მეტად ტემპერამენტიანები არიან და თუ ქალიც მზადაა, რკინის გამძლეობა გამოიჩინოს, რაც აუცილებლად დასჭირდება ასეთი ადამიანის ხასიათის ცვლილებებს რომ გაუძლოს, მაშინ შეუძლია უკან არ დაიხიოს. შეეცადეთ, მისთვის იმ „მყუდრო სავანედ“ იქცეთ, სადაც ყოველთვის იპოვის თანაგრძნობას და ამას თავადაც დააფასებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	5	8	1	3	9	4	7	6
4	9	7	2	5	6	3	1	8
3	1	6	4	8	7	2	9	5
8	7	2	6	1	4	5	3	9
1	6	5	9	2	3	8	4	7
9	4	3	8	7	5	6	2	1
7	3	4	5	6	1	9	8	2
6	8	1	3	9	2	7	5	4
5	2	9	7	4	8	1	6	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	9	2	6	8	1	5	4	7
8	7	5	4	3	2	1	9	6
1	6	4	9	7	5	2	8	3
4	3	1	5	6	7	9	2	8
2	8	7	3	4	9	6	1	5
6	5	9	1	2	8	7	3	4
5	4	8	2	1	6	3	7	9
9	1	3	7	5	4	8	6	2
7	2	6	8	9	3	4	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	5	8	9	4	7	6	3	2
6	4	7	5	3	2	1	9	8
3	9	2	8	1	6	4	5	7
5	8	6	4	7	9	3	2	1
7	3	9	2	5	1	8	6	4
4	2	1	6	8	3	9	7	5
2	7	4	3	9	8	5	1	6
9	1	5	7	6	4	2	8	3
8	6	3	1	2	5	7	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	1	2	9	4	8	7	6	5
6	9	5	7	3	1	2	4	8
8	4	7	6	5	2	3	1	9
7	3	9	2	6	5	4	8	1
1	6	8	4	9	3	5	2	7
5	2	4	1	8	7	6	9	3
4	8	1	5	7	6	9	3	2
2	7	6	3	1	9	8	5	4
9	5	3	8	2	4	1	7	6

მე-12 გვერდი: 1. სანსკრიტი; 2. კრიკეტი; 3. სარდელი; 4. ნაპალმი; 5. კოკი; 6. რეკვიზიტი; 7. კოლორიტი; 8. „ტოშიბა“; 9. სეული; 10. უილიამი; 11. სეული; 12. კალოში; 13. ობივატელი; 14. აბორტი; 15. იფსილონი; 16. ლიმფა; 17. იეტი; 18. აბი; 19. სილიო; 20. ანაკლია; 21. ოლიფა; 22. მაგნიტი; 23. არარატი; 24. აია; 25. ალმასი; 26. რძე; 27. ნავი; 28. მაორი; 29. თამუნია; 30. აკაკი ხორავა; 31. უეჭველი; 32. ვიმპელი; 33. ანგინა; 34. კიტრი; 35. ჯორი; 36. ნეონი; 37. ქავჭავაძე; 38. ცა; 39. უატი; 40. ელჩი; 41. ნირო; 42. ლიცეუმი; 43. იმპალა; 44. ნავარქოსი; 45. მოლაღური; 46. დუქარდი; 47. ანტრე; 48. ნასტასია; 49. სან; 50. ტატი; 51. ხაკი; 52. კეტი; 53. სარბაზი; 54. მიდი; 55. კოპიტი; 56. მე; 57. ჭონი; 58. ვასალი; 59. ჭირიმია; 60. კლიშე; 61. ლაქტომეტრი; 62. ღონე; 63. ბაკმი; 64. რტრ; 65. ვასაბი; 66. პეტრარკა; 67. ბაქო; 68. ღორღი; 69. სტეიკი; 70. სევილია; 71. ლასო; 72. ოსი; 73. ამინ; 74. ნუში; 75. იაილო; 76. „როინიში“; 77. „დანაე“; 78. უნია.

განქორწინება იტალიურად

99 წლის იტლიელმა მამაკაცმა 96 წლის მეუღლესთან, 77-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, დაშორება გადაწყვიტა. ცოლ-ქმარს ხუთი შვილი, თორმეტი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავს. განქორწინების მიზეზად ქმარმა ცოლის ღალატი დაასახელა, რადგან კათოლიკური შობის წინ ძველ კომოდში შეყვარებულისადმი მიწერილი წერილები აღმოაჩინა. არადა, ეს წერილები 60 წლის წინ იყო დაწერილი. მიუხედავად თითქმის ოთხმოცწლიანი ოჯახური ცხოვრებისა, მოხუცმა იტალიელმა მაინც არ აპატია მეუღლეს ღალატი და სასამართლოში სარჩელი შეიტანა. როცა გაყრის პროცესი დასრულდება, იტალიელი ცოლ-ქმარი ყველაზე ხანდაზმული განქორწინებული წყვილი იქნება. წინა რეკორდი 98 წლის ბრიტანელებს, ბერტი და ჯესი ვუდს ეკუთვნის — მათ 36 წლის ოჯახი დაანგრიეს.

1. ავადმყოფური შიში სინათლის მიმართ
2.რკინიგზის სამგზავრო ვაგონის დახურული ბაქანი
3. (მუს.) ფორტეზე უფრო ხმამაღლა
4. ბანქოს „უმაღლესი“ ფიგურა
5. „ხელის ჭუჭყი“
6.თბილისის ერთ-ერთი უბანი
7.ადამიანის სიცოცხლის ერთ-ერთი პერიოდი
8. ტბა აფხაზეთში
9.შეძახილი კონც. ნომრის გამეორების მოთხოვნით
10.სახელმწიფოს დამოუკიდებლობა
11. კვანტური გენერატორი
12. გულმკერდის ერთ-ერთი ძვალი
13.უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელში
14.სიმღ. შესრ. ტრადიციული იტალიური მანერა
15.წაკვეთილი კონუსის ფორმის ფუნჯიანი ქუდი
16. იგივეა, რაც მსახიობი
17. გადამდნარი კარაქი
18. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი
19. იაპონიის უდიდესი ტბა
20.შოლომალეიხემის „მერძევე ...“
21. შინაური ცხოველი
22. ღვთაებრივი მხსნელი
23. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
24. იგივეა, რაც ფირნიში
25. ბადე ბილიარდის მაგიდის კუთხეში
26. ატმოსფერ. მდგომარეობა გარკვეულ მომენტში
27. ინდიელთა ტომი
28.იაპონიის საერთაშორისო აეროპორტი
29.დასავლეთ ევროპის უდიდესი მდინარე
30. მუსორგსკის ოპერა „... გოდუნოვი“
31.დაბალი მაგიდა
32. ცნობილი ქართველი ბარიტონი
33.მონეტების, ორდენების დასამზადებელი საწარმო
34.იტალიელი კინოვარსკვლავი ... ლოლობრიჯიდა
35. ვენეციის ძველი მმართველი
36. საუბარი ორ პირს შორის
37. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
38.ბგერის გრაფიკული ნიშანი
39.წურბელების გამყოდველი „ოქროს გასაღებში“
40. პატარძლის „პირველი“ ნახევარი
41. იგივეა, რაც შავი მაგია
42. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი
43. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში
44. საშენი მასალა
45. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
46. ძველი ასურეთის დედაქალაქი
47. საფრანგეთში: პოლიციელი
48. კვების გარკვეული რეჟიმი
49. მახრჩობელა გველი
50. ნელსაცხებლის სახელწოდება ძველ ქართულში
51. მტვრის მარცვლის გარსის შიგნითა მხარე
52. ბიბლიური მოსეს ძმა
53. ამერიკელი ნობელიანტი პოეტი
54. წარსულში ცნობილი ფრანგი მსახიობი ფილიპ ...
55. ესკიმოსთა სატვირთო ნავი
56.ნამდვილად არსებული ნივთი, მატერიალური კულტურის ყოველი საგანი
57.საშუალო ხმა სამხმიან სიმღერაში
58. სახის მიმიკის მოშლა
59.ადმინისტრაც. ტერიტორ. ერთეული ნორვეგიაში
60. „შევროლეს“ მოდელი
61.პირუტყვის საკვების ჩასაყრელი ბოსელში
62. სოციალურად უთანასწორო ქორწინება
63. ყოფილი არგენტინელი ფეხბურთელი
64. სიმინდის შესანახი ნაგებობა
65. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
66. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
67. ქართული კომედიური ტელესერიალი
68. საგანგებო დავალება
69. თავაშვებული ქეიფი
70. ტიბეტური ხარი
71. ფრანგ მეფეთა სახელი
72. ქართული სპორტული გაზეთი
73. პიტალო კლდე
74. ნაპოლეონ ბონაპარტის კარის მხატვარი
75. ცეცხლის მნათი ნაწილი
76. სახლს მიშენებული აივანი ბოძებიანი სახურავით
77. მტკნარი წყლის თევზი
78. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა
79. დეკორატიული ყვავილი

სასტუმრო მაღაროში გახსნეს

შვედური სასტუმროს Sala Silvermine მიწისქვეშა ნომერი 155 მეტრის სიღრმეზეა განთავსებული, სადაც დიდი, ორადგილიანი საწოლი, მოხერხებული სავარძლები, ინტერიერის სხვა საგნებია და ისინი ვერცხლისგანაა დამზადებული. იქ დაგხვდებათ სასადილო მაგიდა შამპანურითა და ახალი ხილით, თუმცა ნომრამდე ჩასაღწევად ლიფტია საჭირო და თბილი ტანსაცმელი, რადგან მაღაროში ტემპერატურა მუდმივად ორი გრადუსია. კლიენტის განკარგულებაშია პირადი პორტიე, რომელიც ნებისმიერ თხოვნას ნებისმიერ დროს შეასრულებს. ერთი ნაკლი კი ისაა, რომ იქ მობილური ტელეფონები არ მუშაობს, მიწისქვეშეთში ერთი ღამის გატარება კი 580 დოლარი ღირს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.